

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამა

1998-2004



LOCAL DEMOCRACY DEVELOPMENT PROGRAM



საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი
CENTER FOR STRATEGIC RESEARCH AND DEVELOPMENT OF GEORGIA

INTRODUCTION

ადგილობრივი დემოკრატიის
განვითარების
პროგრამა

1998-2004

LOCAL DEMOCRACY
DEVELOPMENT
PROGRAM



საქართველოს დემოკრატიული
განვითარების კავშირი

DEMOCRATIC DEVELOPMENT UNION
OF GEORGIA - DDUG



საქართველოს სამოქალაქო
განვითარების ასოციაცია

GEORGIAN CIVIL DEVELOPMENT
ASSOCIATION - GCDA

ბროშურა გამოიცა "NOVIB"-ის ფინანსური მხარდაჭერით
Brochure is published with financial support of -NOVIB-

n(o)vib
OXFAM NETHERLANDS

შ ი ნ ა ა რ ს ი C O N T E N T S

შესავალი Introduction	3
პროგრამის ისტორია Program History	5
1998-2001 წლები - პროგრამის I ფაზა. მიღწევები და შედეგები 1998-2001 - I phase of the program. Results and achievements	6
2002-2004 წლები - პროგრამის II ფაზა 2002-2004 - II phase of the program	8
ახალი მიდგომები New approaches	8
პროგრამის მართვა Program management	9
პროგრამის მიზნები და ამოცანები Program purpose and objectives	9
საქმიანობები სამიზნე საკრებულოებში (თემში) Activities addressing target local communities (Sakrebulo)	10
არასამთავრობო ორგანიზაციათა გაძლიერება Strengthening non-governmental organizations	49
პროგრამის შედეგები და ნასწავლი გაკვეთილები Achieved results of the program and lessons learned	69
პროგრამის შემდგომი გეგმები Future plans	71
პროგრამის დონორები და პარტნიორები Program Donors and Partners	72
დანართები ANNEXES	
I ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ Information about organization	73
II ბიუჯეტი Budget	76
III სამიზნე თვითმმართველობების ჩამონათვალი Target Sakrebulo and villages	78
IV არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ჩატარებული ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები List of trainings and workshops provided to the target NGOs	79
V პროგრამის I ეტაპზე განხორციელებული მიკრო-პროექტების ჩამონათვალი List of micro projects implemented during the first phase of the program	83

შესავალი INTRODUCTION



ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამა
LOCAL DEMOCRACY DEVELOPMENT PROGRAM

საზოგადოებრივი ორგანიზაცია „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ 1995 წლის ივლისში დაარსდა. მის მთავარ მიზანს საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების აღმშენებლობის ხელშეწყობა წარმოადგენს. ამ მიზანს ორგანიზაცია აღწევს პრაქტიკაზე ორიენტირებული კვლევების, მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მისი აქტიური ჩართვის მეშვეობით.

ადგილობრივი დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბების ხელშეწყობა ცენტრის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი 1998 წლიდან ახორციელებს ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამას, რომელიც მიმდინარეობს ლაგოდეხისა და ოზურგეთის რაიონებში, ადგილობრივ პარტნიორ ორგანიზაციებთან - „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასა“ და „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირითან“ თანამშრომლობით, „ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის“ (NOVIB)-ის ფინანსური მხარდაჭერით.

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამას უკვე ექვსწლიანი საქმიანობის გამოცდილება აქვს. პროგრამის თავდაპირველი მიდგომები წლების განმავლობაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე დაიხვეწა და, გარკვეულწილად, შეიცვალა კიდევ,

Centre for Strategic Research and Development of Georgia is a non-governmental organization, established in 1995. Since then organization seeks to promote the development of civil society in Georgia by conducting applied research, raising awareness of the population and stimulating the active involvement of citizens in decision making processes.

One of the main directions of Center's activities is promoting development of local democratic institutions in the country. In frames of mentioned direction Centre is implementing the Local Democracy Development Program in Ozurgeti and Lagodekhi regions in collaboration with local partner organizations - "Georgian Civil Development Association" (in Lagodekhi region) and "Democratic Development Union of Georgia" (in Ozurgeti region). Program has been launched in 1998 with the financial support of Netherland's Organization for International Cooperation and Development (NOVIB).

During the six years of program implementation participants have accumulated quite important experience. Initial approaches have developed and refined in the course of activities, though general strate-



თუმცა პროგრამის ძირითადი სტრატეგია და პრინციპები უცვლელი დარჩა. დღესდღეობით, ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის მოდელის მრავალწლიანი გამოცდილება, პროგრამის მიდგომები და მიღწეული შედეგები მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციისა და დამოუკიდებელი ექსპერტის ინტერესს იწვევს.

2005 წლიდან ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის საქმიანობის გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა, „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა“ „ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის“ (NOVIB)-ისა და გერმანული ფონდი „ეკლესიის განვითარების სააგენტო“ (EED)-ის ფინანსური მხარდაჭერით პროგრამის წარმატებული მოდელი განავრცო საქართველოს ახალ რაიონებზე - სიღნაღის, თელავის და ჩოხატაურის რაიონებზე.

gy and principles of the program are the same. At present the yearlong experience of Local Democracy Development Program, approaches developed and results achieved attract deep interest of local and international organizations as well as independent experts.

From 2005 onward the activities of the program cover three more regions - Telavi, Chokhatauri and Signagi regions. The experience obtained during the previous years, approved methods of work will be applied in these regions. The new stage of the program is implemented with the financial support of Netherland's Organization for International Cooperation and Development (NOVIB) and German foundation "Church Development Service" (EED).



ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამამ მუშაობა დაიწყო 1998 წლიდან საქართველოს ორ რაიონში - ლაგოდეხსა და ოზურგეთში, „ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის“ (NOVIB)-ის ფინანსური მხარდაჭერით. პროგრამის ძირითადი მიზანია საზოგადოების უმთავრესი პრობლემების ადგილზე გადაწყვეტა ადგილობრივი ხელისუფლებისა და ახლადდაარსებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების თუ ჯგუფების ერთობლივი მუშაობის გზით, და რაც მთავარია, მოსახლეობაში იმ რწმენის გაღვივება, რომ ჯანსაღი ინიციატივითა და ერთობლივი ძალისხმევით შესაძლებელია საკუთარ პრობლემათა ეფექტურად, სწრაფად და მცირე დანახარჯებით გადაწყვეტა. პროგრამა მიმდინარეობდა 2 ფაზად.

Local Democracy Development Program was launched in 1998 with the financial support of Netherland's Organization for International Cooperation and Development (NOVIB). It was active in two regions of Georgia - Lagodekhi and Ozurgeti. Main purpose of the program was to solve the local problems on the spot, by joint efforts of local government, newly established civil-society organizations and civil groups. Program also aimed to demonstrate that sound initiative and united actions make possible to overcome difficulties and solve the existing problems quickly and effectively. The program was divided into two phases.



1998-2001 წლებში მიმდინარეობდა ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების I ფაზა, რომელსაც ახორციელებდა ორი არასამთავრობო ორგანიზაცია — „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ და „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“. პროექტის ხელშეწყობის მიზნით ლაგოდეხსა და ოზურგეთში დაარსდა იურისტებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო ბიუროები, რომელთა ბაზაზე პროგრამის მსვლელობისას ჩამოყალიბდა არასამთავრობო ორგანიზაციები: ლაგოდეხში - „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაცია“, და ოზურგეთში - „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“. ამ ეტაპზე პროგრამის ძირითადი ამოცანები იყო თვითმმართველობებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საინფორმაციო და საკონსულტაციო უზრუნველყოფა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხელშეწყობა. პროგრამის ამ ეტაპზე საქმიანობა განხორციელდა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

- ◆ თვითმმართველობების წარმომადგენლების ინფორმირება შემდეგ საკითხებზე: თვითმმართველობის საკანონმდებლო ბაზა, თვითმმართველობის ეკონომიკური საფუძვლები, მიწის კანონმდებლობა და ა.შ.;
- ◆ მოსახლეობისათვის მათი უფლებების გაცნობა უფასო იურიდიული კონსულტაციების გზით;
- ◆ არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდება და ზოგადი ტიპის ტრენინგების ჩატარება შემდეგ საკითხებზე: არასამთავრობო სექტორი და მისი მნიშვნელობა, საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები, სათემო ორგანიზაციების კონცეფცია, არასამთავრობო ორგანიზა-

Until 2001 program was implemented jointly with other NGO - "Young Lawyers Association". In the frames of the program the legal aid bureaus have been founded in target regions - Lagodekhi and Ozurgeti. On the basis of these bureaus two NGOs have been established - "Georgian Civil Development Association" in Lagodekhi and "Democratic Development Union of Georgia" in Ozurgeti. During the first phase main tasks of the program were: providing adequate information and consultations to local governments and civil-society organizations; promoting development of civil society. Activities at this stage have been conducted in following priority directions:

- ◆ Informing representatives of local government on the legislative and economic basis of self-governance, land legislation etc.;
- ◆ Providing free consultations to the population concerning its rights;
- ◆ Providing information and trainings to the civil-society organizations on the following topics: non-governmental sector and its importance; main principles of public relations; community based organizations; management of civil-society organizations; project-management; leadership and team-work;
- ◆ In the target regions micro-grants program has been implemented. It



ციების მართვა, პროექტის მართვის ციკლი, ლიდერობა და გუნდური მუშაობა და ა.შ.;

♦ სამიზნე რაიონებში სამოქალაქო ინიციატივების წახალისების, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და თვითმმართველობებს შორის თანამშრომლობის განვითარებისა და სათემო მოძრაობის პრინციპების პოპულარიზაციის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდა მიკროგრანტების პროგრამა. გრანტები გაიცემოდა არასამთავრობო ორგანიზაციებსა და საინიციატივო ჯგუფებზე. გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენდა 2000 აშშ დოლარს არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის და 500-1000 აშშ დოლარს საინიციატივო ჯგუფებისათვის. გრანტები გაიცემოდა კონკურსის წესით. წარმოდგენილ წინადადებებს განიხილავდა სპეციალურად შექმნილი საბჭო, რომელიც დაკომპლექტებული იყო განმახორციელებელი ორგანიზაციებისა და ადგილობრივი ბიუროების წარმომადგენლებით (ამ უკანსაკნელებს მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება ჰქონდათ). დღეისათვის დაფინანსებულია 73 პროექტი. მათგან არასამთავრობო ორგანიზაციებზე გაიცა 33, ხოლო საინიციატივო ჯგუფებზე 40 მიკროგრანტი. სულ დახარჯულმა თანხამ კი 86 170 აშშ დოლარი შეადგინა (პროექტების ჩამონათვალი იხ. დანართში №5).

♦ პროგრამის მსვლელობისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა განმახორციელებელი გუნდის კვალიფიკაციის ამაღლებას. გუნდის წევრებს უტარდებოდათ ინტენსიური ტრენინგები იურიდიულ საკითხებზე, ეფექტურ კომუნიკაციებსა და პრეზენტაციებზე, მოსახლეობასთან მუშაობის ტექნიკებსა და სხვა მრავალ საკითხზე.

მუშაობის ეფექტურად წარმართვამ და საერთაშორისო ექსპერტების დადებითმა შეფასებამ 2002 წლიდან პროგრამის ახალი, II ფაზის ამოქმედება განაპირობა.

aimed at encouraging civil initiatives, promoting collaboration between civil-society organizations and local governments, popularization of the principles of community work. In the frames of the program small grants have been awarded to NGOs and community groups. Amount of the grant was up to 2000 US dollars for NGO and 500-1000 US dollars for the community group. Grants were awarded to the winners of the announced competition. Submitted proposals were examined by special board consisting of representatives of implementing organizations. Members of local bureaus were also included in the board, though they did not have the right to vote. At present program has already donated micro-grants to 73 applicants - 33 NGOs and 40 community groups. The total amount of donated micro-grants is 86 170 US dollars (list of the projects see in attachment # 5).

♦ From the beginning of the program special attention was paid to the professional growth of the project implementing group. Employees have been intensively trained on legal issues, ways of performing effective communications and presentation techniques, methods of work with the population etc.

Effective work and favorable conclusions of the international evaluators made possible to launch the second phase of the project in 2002.



2002-2004

წლავი - პროგრამის II ფაზა
 II PHASE OF THE PROGRAM

ახალი მიდგომები

NEW APPROACHES

პროგრამის II ფაზის დაწყებას წინ სერიოზული დაგეგმვითი სამუშაოები უძღვოდა. მოსამზადებელი ეტაპი მოიცავდა როგორც თავად განმახორციელებელი რგოლის გუნდურ შეხვედრებსა და დაგეგმვებს, ასევე პროგრამის უკეთ კოორდინირების მიზნით ინფორმაციის მოგროვებასა და შეხვედრას ყველა იმ ადგილობრივ თუ საერთაშორისო პროგრამის წარმომადგენლებთან, რომლებიც მსგავსი ტიპის საქმიანობას ახორციელებდნენ იმავე რეგიონებში, მსგავს სამიზნე ჯგუფებთან. I ეტაპზე, ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გზით, პროგრამის განმახორციელებელი გუნდი მომზადდა.

ზოგადი ტიპის ტრენინგებმა, მიკროგრანტების პროგრამამ და საგანმანათლებლო საქმიანობამ საკმარისი როლი ითამაშა სამიზნე რაიონებში თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესებისა და სამოქალაქო სექტორის წინ წამოწევისათვის, თუმცა გარკვეულ ეტაპზე ამგვარი მიდგომა არასაკმარისი აღმოჩნდა უფრო სერიოზული, ხელშესახები შედეგების მისაღწევად. პროგრამის პირველი ეტაპის საქმიანობამ საკმაოდ კარგი ნიადაგი მოამზადა ახალი მიდგომების დასანერგად. ამ ეტაპზე პროგრამის სტრატეგიამ ცვლილება განიცადა. პრიორიტეტი მიენიჭა ინტენსიურ ინდივიდუალურ მუშაობას შეზღუდული რაოდენობის სამიზნე თვითმმართველობებსა და თემებთან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ამ ეტაპის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ საკონსულტაციო ბიუროების ბაზაზე შექმნილი ორგანიზაციები ამიერიდან

Beginning of the II phase of the program was preceded with serious preparatory activities and planning. Preparatory stage included joint work of the project implementing group, meetings with representatives of local and international programs, which carried out the similar projects in the same regions. During the preparatory stage several trainings have been arranged for the members of the project implementing group.

Activities conducted in the target regions during the first phase - trainings, micro-grants program, educational work - created sufficient basis for strengthening civil-society organizations and improving performance of self-governments. Though mentioned approach proved to be insufficient to achieve more serious, tangible results. The first phase of the program have prepared good basis for introducing new approaches. During the second stage program strategy and priorities have been changed; much more importance has been attached to intense individual work with several (not numerous) target self-governments, communities and NGOs.

One of the major characteristics of the second phase of the program was following: regional NGOs, established on the basis of legal-aid



უკვე პროგრამის პარტნიორ ორგანიზაციებად გვევლინება. სამი წლის მანძილზე ჩვენმა რაიონულმა პარტნიორმა ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი გამოცდილება და კვალიფიკაცია შეიძინეს. პროგრამის II ეტაპისათვის მთლიანად მათზე იქნა დელეგირებული „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ფუნქციები. აღნიშნულ მიდგომას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პროგრამის შედეგების გრძელვადიანობისა და ადგილებზე სტაბილური, ძლიერი სამოქალაქო ორგანიზაციების ჩამოყალიბებისათვის.

bureaus, became partner organizations of the program. They have accumulated serious experience and qualification during the first phase. For the second phase the functions of Young Lawyers' Association have been completely delegated to regional partner organizations. This approach had crucial importance for ensuring long-term results of the program and promoting development of strong local civil-society organizations.

პროგრამის მართვა

PROGRAM MANAGEMENT

როგორც აღვნიშნეთ, პროგრამას „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ ახორციელებს რეგიონულ პარტნიორობთან, ლაგოდეხში - „საქართველოს სამოქალაქო განვითარების ასოციაციასა“ და ოზურგეთში - „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირთან“ ერთად. პროექტს მართავს პროგრამის საკოორდინაციო საბჭო, რომლის წევრები არიან აღნიშნული ყველა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

As it has been stated program is implemented by Centre for Strategic Research and Development of Georgia in collaboration with the regional partner organizations: "Georgian Civil Development Association" (in Lagodekhi region) and "Democratic Development Union of Georgia" (in Ozurgeti region). Program is managed by steering committee consisting of representatives of all three implementing organizations.

პროგრამის მიზნები და ამოცანები

PROGRAM PURPOSE AND OBJECTIVES

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამა ემსახურება ადგილობრივი თემის, ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების შესაძლებლობათა განვითარებას. შესაბამისად, პროგრამა ინტენსიურად მუშაობს თემის (სოფლის) მოსახლეობასთან, ადგილობრივ თვითმმართველობებსა (საკრებულოები) და

Local Democracy Development Program aims to strengthen and develop potential of local communities, local civil-society organizations and self-governments. Consequently, program actively works with community (village) population, local self-governments (Sakrebulo) and



ადგილობრივ საზოგადოებრივ ანუ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

პროგრამის მიზანია:

საქართველოს ორ რაიონში სათემო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაძლიერებით და მიმდინარე პროცესებში საზოგადოების აქტიური ჩართვით ადგილობრივი ხელისუფლების ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა.

2002-2004 წლებში პროგრამა შემდეგი კონკრეტული შედეგების მიღწევას გეგმავდა:

■თემის დონეზე:

საქართველოს 2 რაიონის 18 თვითმმართველ ერთეულში (თემში) ადგილობრივი პრობლემები გადაჭრილია შექმნილი აქტიური სამოქალაქო ჯგუფებისა და ქმედითი ადგილობრივი ხელისუფლების უფრო ეფექტური თანამშრომლობის გზით.

■რაიონის დონეზე:

საქართველოს 2 რაიონში გაძლიერებულია 5 საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლებიც თანამშრომლობენ სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან და შესაბამის მომსახურებას სთავაზობენ სამიზნე ჯგუფებს.

local civil-society organizations (NGOs).

Project purpose:

Effective functioning of CBOs, NGOs and Local Government through active involvement of the community promoted

In 2002-2004 program had following objectives:

■At village level:

Local problems solved through improved relations between formed CBOs and effective local government in 18 villages of two regions of Georgia.

■At regional level:

Five NGOs developed that cooperate with other NGOs and local Government providing adequate services to their target groups in two regions of Georgia.

საქმიანობები სამიზნე საკრებულოებში

ACTIVITIES ADDRESSING TARGET LOCAL COMMUNITIES (SAKREBULOS)

ერთიანი მიდგომა

GENERAL APPROACH

წინა წლებისგან განსხვავებით, პროგრამის მეორე ფაზა ითვალისწინებს არჩეულ სამიზნე თემში ადგილობრივ ხელისუფლებასთან უფრო მჭიდრო თანამშრომლობას — ერთი მხრივ, თვითმმართველობის, როგორც დემოკრატიული ინსტიტუტის, მოქმედების

In contrast to previous years II phase of LDD Program envisaged more close collaboration with self-governments in selected target villages. This collaboration meant to promote effective functioning of local govern-



ეფექტურობის ზრდას, მათთვის საჭირო საკითხების სწავლებითა და ინტენსიური კონსულტაციების გზით, მეორე მხრივ, კი მოსახლეობის გააქტიურებას ამავე თემში შეძავალ ერთ-ერთ სოფელში ლოკალური მნიშვნელობის საკითხების გადაწყვეტისას მოსახლეობის მობილიზებითა და პროგრამის მიერ მიზნობრივი დახმარების გაწევის გზით. ახალი ეტაპი მოიაზრებს წინასწარ კვლევით სამუშაოებს და გამოვლენილ საჭიროებებზე შესაბამის რეაგირებას, როგორც თვითმმართველობის მდგრადი განვითარებისათვის, ისე მოსახლეობის აქტიურობის დონის ასამაღლებლად. ჩვენი პროგრამის საბოლოო მიზანს კი სწორედ ეფექტურად მომუშავე თვითმმართველობა და აქტიური მოსახლეობა წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთთან თანამშრომლობენ ადგილობრივი მნიშვნელობის პრობლემების გადასაჭრელად.

სამიზნე თვითმმართველობების შერჩევისას მთავარი კრიტერიუმია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან პროგრამაში მონაწილეობის სურვილი და აქტიური თანამშრომლობისათვის მზადყოფნა. ამის შემდგომ, თვითმმართველობასთან ფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც მონაწილე მხარეთა მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს განსაზღვრავს.

თვითმმართველობების გაძლიერება

პროგრამის ამ კომპონენტში საქმიანობა მიმართულია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების (საკრებულო და აღმასრულებელი რგოლი — გამგეობა ან გამგებელი) მუშაობის ეფექტურობის ზრდისა და მათ საქმიანობაში საჯაროობის, გამჭვირვალობისა და მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების პრინციპების დამკვიდრებისაკენ.

ments, as democratic institutions, through their intensive teaching and providing consultations on relevant topics. On the other hand active involvement of the population in solution of local problems through their mobilization and targeted aid also contributes to better functioning of "Sakrebulo".

New stage implied preliminary needs assessment and appropriate response to the revealed needs, both in terms of sustainable development of self-governments and increased involvement of population. As a result effective self-government and active population collaborating with each other to solve the local problems contribute in fulfilling the project purpose and tasks. Most important criteria for selection of target self-governments were their willingness to participate in the program and readiness for active cooperation. After that memorandum of understanding, determining obligations and responsibilities of participating sides, was signed with the selected self-government.

STRENGTHENING SELF-GOVERNMENT

In this component of the program activities were directed towards raising effectiveness of local self-governing bodies (Sakrebulo and executive branch - Gamgeoba, Gamgebeli) and introducing principles of transparency, accountability and publicity into their work.



განხორციელებული საქმიანობები

საჭიროებათა კვლევა

საქმიანობა იწყება პროგრამის განმახორციელებელი გუნდის, კერძოდ თვითმმართველობის ექსპერტებისა და თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ საკრებულოს საჭიროებათა კვლევით და ამ კვლევის შედეგებზე დაფუძნებული სამოქმედო გეგმის შემუშავებით. ეს სამუშაო გეგმა, როგორც წესი, ერთწლიანია და ითვალისწინებს მთელ რიგ საქმიანობებს. მათ შორის სემინარებს, ტრენინგებს, თემატურ სამუშაო შეხვედრებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს სამიზნე თვითმმართველობის როგორც არჩეული, ისე დანიშნული წარმომადგენლებისათვის.

სემინარები და ტრენინგები

პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში ლაგოდეხისა და ოზურგეთის რაიონებში შეირჩა 17 სამიზნე თვითმმართველობა (ჩამონათვალი იხ. დანართი №3). თითოეულ მათგანთან მუშაობა წარიმართა ინდივიდუალური მიდგომით, გამოვლენილი საჭიროებების და მათი პრიორიტეტულობის გათვალისწინებით. თუმცა, შესაძლებელია იმ ტიპის აქტივობების გამოყოფა, რომლებიც ყველა თვითმმართველობის ორგანოსთვის ერთნაირად საჭირო იყო და, შესაბამისად, ყველგან განხორციელდა. ესენია:

- სემინარების ციკლი თვითმმართველობის განხორციელების საკანონმდებლო საფუძვლებზე, საბიუჯეტო მოწყობის საკითხებზე, საჯარო სამსახურის პრინციპებზე;
- ტრენინგები თანამონაწილეობითი დაგეგმვის პრინციპებზე, მოსახლეობასთან თანამშრომლობის ეფექტურ მეთოდებზე, სრულყოფილი ნორმატიული

IMPLEMENTED ACTIVITIES

Needs assessment

The activities started with needs assessment of Sakrebulo by members of program implementing group (in particular experts on self-governance) and representatives of local governments themselves. Based on the results of the assessment one-year action plan was designed. The action plan implied numerous activities, like seminars, trainings, thematic workshops and individual consultations for elected and appointed representatives of target self-governments.

Seminars and trainings

In the course of program 17 target selfgovernments have been selected in Lagodekhi and Ozurgeti regions (see the list in the attachment # 3). Work with these selfgovernments has been conducted according to individual plan, considering their revealed and prioritized needs. Though several activities were equally relevant to all self-governments and have been implemented everywhere. Namely:

- seminars on legislative basis of exercising self-governance; Local Budget; principles of public services;
- Trainings on participatory planning, effective methods of communication with the population, designing flawless normative acts;
- Working meetings concerning program on social-economic development of given administrative unit; designing program budget; fulfilling the requirements of Administrative Code of Georgia -especially chapter on free access to public information; introducing mechanisms of transparency and accountability; improv-



აქტების შედგენაზე;

■ სამუშაო შეხვედრები მოცემული ადმინისტრაციული ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამისა და პროგრამული ბიუჯეტის შემუშავებაზე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებული დებულებების დანერგვაზე, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შემოღებაზე, საქმის წარმოების გაუმჯობესებაზე, სერვის-პაკეტის მომზადებაზე;



ing duty performance, preparing service-packages;

■ Public meetings of population and local government leaders; aim of the meetings was to ensure that interests of each village covered by given self-government are considered in defining the budget priorities of the following years.

Each training and working meeting resulted in elaboration of adequate result-oriented actionplan, according to which representatives of local government were responsible for achieving positive results. Program members monitored implementation of the action-plan according to the approved time-table and delivered appropriate recommendations and consultations.



■ ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერთა და მოსახლეობის საჯარო შეხვედრები, რომელთა მიზანია თვითმმართველი ერთეულის შემადგენლობაში შემავალი თითოეული სოფლის ინტერესების გათვალისწინება უახლოესი წლების საბიუჯეტო პრიორიტეტების განსაზღვრისას.

თითოეული სამუშაო შეხვედრის თუ ტრენინგის პროდუქტს შეადგენდა კონკრეტული, შეხვედრის თემატიკიდან გამომდინარე, შედეგის მიღწევაზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის შემუშავება. გეგმის თანახმად შედეგებზე პასუხისმგებელი პირები თავად ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იყვნენ. პროგრამის თანამ-





შრომები მონიტორინგს უწევდნენ სამუშაო გეგმის შესრულებას წინასწარ შემუშავებული გრაფიკით და გასცემდნენ საჭირო კონსულტაციებსა და რეკომენდაციებს.

ყოველწლიური სემინარი

გამოცდილების გაზიარებისათვის

პროგრამის ფარგლებში 2003 და 2004 წლებში მოეწყო ორი შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ თვითმმართველობის სფეროში აღიარებული ქართველი და უცხოელი ექსპერტები და სამიზნე თვითმმართველობების ლიდერები. შეხვედრების მიზანს წარმოადგენდა, ერთი მხრივ, ადგილობრივი ხელისუფლების პრაქტიკოს ლიდერთათვის ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან და დეცენტრალიზაციასთან დაკავშირებული სამომავლო პერსპექტივების გაცნობა, ხოლო, მეორე მხრივ, მათი პრაქტიკული გამოცდილების გაზიარება და გათვალისწინება მიმდინარე რეფორმების განხორციელებისას.

სამიზნე თვითმმართველობების

ტექნიკური მხარდაჭერა

პროგრამის მიმდინარეობის პერიოდში განსაკუთრებით წარმატებულ 5 სამიზნე საკრებულოს (ჭანიეთი, შემოქმედი, ნინიგორი, აფენი, ულიანოვკა) გადაეცა კომპიუტერული ტექნიკა, ხოლო ადგილებზე ამ ტექნიკის გამოყენებაზე პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდათ შესაბამისი სასწავლო კურსები. გარდა ამისა, თვრამეტივე ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს გადაეცა მათი საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და სხვა ნორმატიული მასალა.

Annual experience sharing seminars

Two conferences (in 2003 and 2004) with the participation of acknowledged Georgian and international experts on self-governance and leaders of target self governments have been arranged in the frames of the program. Aim of the conferences was to acquaint the leaders of local self-governments with future perspectives concerning territorial arrangement of the country and decentralization as well as to consider their practical experience in implementing the ongoing reforms.

Providing technical support to the target self-governments

During the program implementation five most successful Sakrebulo (Chaniety, Shemoqmedi, Ninigori, Afeni, Ulianovka) have been donated computers. Persons, responsible for using these computers on the spots have been provided appropriate learning courses. Besides, all 18 local self-governments have been provided with legislative and other normative documents, which regulate their functioning.



შედეგები

პროგრამის ფარგლებში გაწეული საქმიანობების შედეგად ლაგოდეხისა და ოზურგეთის რაიონებში თვითმმართველობის განვითარების თვალსაზრისით ძალზე კონკრეტული და ხელშესახები შედეგები იქნა მიღწეული, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს შერჩეული სტრატეგიისა და საქმიანობის ფორმების სიზუსტეს და ეფექტურობას. კერძოდ,

ოზურგეთის რაიონში შემავალ შემოქმედის საკრებულოში შეიქმნა მოსახლეობის წინაშე ადგილობრივი ხელისუფლების ანგარიშგების კარგი პრეცედენტი. კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების ინიციატივით მომზადდა და სოფლის მოსახლეობაში დარიგდა ლიფლეტი, რომელიც შეიცავდა 2003-2004 წლებში განხორციელებული საქმიანობის დეტალურ ანგარიშს.

■ 18-ვე სამიზნე თვითმმართველობის არჩევითი პირები და საჯარო მოხელეები, მათი პასუხისმგებლობების შესაბამისად, კარგად იცნობენ ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციონირების მარეგულირებელ საკანონმდებლო და სხვა ნორმატიულ აქტებს, საკუთარ უფლება-მოვალეობებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვის სხვადასხვა მეთოდებს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; სრულყოფილი ნორმატიული აქტის შედგენის ტექნიკებს;

■ 8 სამიზნე საკრებულოს პასუხისმგებელი პირები ფლობენ სტრატეგიული დაგეგმვის, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებისა და პროგრამული ბიუჯეტების შედგენის ტექნიკებს;

ACHIEVED RESULTS

After completion of the program tangible results have been achieved in Lagodekhi and Ozurgeti regions in terms of development of self-government. These results prove once more effectiveness of chosen strategy and activities. Namely:

■ Representatives of 18 target local governments - elected individuals and administrative staff are well aware of legislative and other normative acts regulating activities of local government; they know their own responsibilities and rights, are acquainted with methods of public participation in decision-making process, requirements of Administrative Code of Georgia, especially the chapter on free access to public information, possess techniques of designing flawless legal acts;

In Sakrebulo of village Shemoqmedi (Ozurgeti region) has been created positive precedent of local self-government reporting to population. Namely, at the initiative of local government the detailed report of the activities implemented in 2003-2004 has been published in the leaflet and distributed among the village population.

■ Representatives of 8 Sakrebulo possess techniques of strategic planning, designing programs of social-economic development and



ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირის 2004 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტი, რომლის შემუშავებაც პროგრამის თანამშრომლების დახმარებით მოხდა „საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ“ ახლადმიღებული კანონის შესაბამისად, სამაგალითო გამოდგა მთელი რაიონის მასშტაბით. იუსტიციის სამინისტროს გურიის ტერიტორიულმა სამსახურმა მთისპირის საკრებულოს ბიუჯეტი ნიმუშად აიღო და ამ ფორმის მიხედვით სთხოვა თვითმმართველ ერთეულებს მათი ადგილობრივი ბიუჯეტების პროექტთა შედგენა და წარმოდგენა.

■ 18-ვე სამიზნე საკრებულოში მოწვეს-რიგდა და კანონთან შესაბამისობაში მოვიდა სხვადასხვა ადგილობრივი აქტები (დებულებები, ბიუჯეტები, ოქმები და ა.შ.), დაიხვეწა მათი მიღების პროცედურები;

■ 10 თვითმმართველ ერთეულში საბიუჯეტო პრიორიტეტების გამოვლენის მიზნით შეიქმნა საჯარო შეხვედრების მოწყობის პრეცედენტები, რომელთა შედეგადაც პროგრამულ ბიუჯეტებში გათვალისწინებულ იქნა მოცემულ ერთეულში შემავალი თითოეული სოფლის სულ მცირე ერთი მტკივნეული პრობლემა.

„2002 წლიდან იყოფიდა ვითარება, რომელიც ჰქონდა საკრებულოს. ჩვენს საკრებულოს ყველაზე აქტიურობილი იყო, ეს არის პროგრამული ბიუჯეტის შედგენა. მოსახლეობის (სოფლის საკრებულოში 7 სოფელი შემოდიდა) პრიორიტეტული საკითხების დადგენის განხილვა. ჩვენ ყველაზე მსოფლიო რა აქტიურობილი. სერ 2002 წელს ანუ გაყვითი. ყველა სოფლიდან მოვიწვიეთ 7-10 კაცი რა მათ სამოყვაროებს სოფლების საკრებულოცო საკითხები.“

ბახვა ბარბაკაძე.

ნინგორის საკრებულოს თავმჯდომარე

designing program budget;

■ In all 18 target Sakrebulo various local acts (statements, budgets, protocols etc.) are harmonized with the legislation;

■ In 10 self-governments positive precedents of arranging public meetings aimed at defining budget priorities has been created. As a result at least one acute problem of each village of the given unit has been considered in the program budget;

The leaders of local-government of Ninigory village (Lagodekhi region) have introduced the tradition of meetings with population to search the ways and resources for the solution of local problems. As a result significant part of village road has been repaired with the finances collected on the spot and local technique.

We collaborate with the program from 2002. Our top priority was to reveal the most urgent problems of the population (our Sakrebulo unites seven villages) and to design the program budget. In 2002 we have accomplished this - we invited 7-10 persons from each village; they have defined the problems and prioritize them.

*Bakhva Barbakadze
Chairman of Ninigori Sakrebulo*

We worked jointly on budget. Thanks to this work the budget of Shroma community became completely transparent. I would like to thank these young people for their sincere and hearty help.

*Zurab Mjavanadze
Gamgebeli of Shroma community*



„სერე ერთობლივად უმუშაობრით ბოუყეცხი რა
შრომის თემის ბოუყეცხი ახლოლოყყყყყა
გამჭყირელო გახრა. წიკონაყ ყყყ
გაჩყყყყი ბოუშაობა გეჟეს ამ შხრი
განყყი.

ლილი მარლობა მინრა გაცაყყყა ამ
ახლოგაშრობებს იმ ყყყყოლო რა გყიკონაყყი
რამოყიკიბოყიკონაყი. რაყ მათოყი
ცხოვრების ნორობა. “
ბორობა მყაყანაყი.
შრომის თემის გამგებელი

■ 18 სამიზნე დაწესებულებაში წარმა-
ტებით დაინერგა ინფორმაციის თავის-
უფლების თავით გათვალისწინებული
სავალდებულო დებულებების დიდი ნაწ-
ილი. კერძოდ, დაინიშნა ინფორმაციის
გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, დამ-
ტკიცებული ნორმატიული აქტები და
საკრებულოს (გამგეობის) სხდომები
ცხადდება საჯაროდ, სპეციალურად გა-
მოყოფილ ადგილებში, ადმინისტრაცი-

წლების განმავლობაში დამკვიდრებული ტრა-
დიციით. ლაგოდეხის რაიონში მიწის გადასახ-
დიდან მიღებული შემოსავლების განაწილების
ნორმატივი ადგილობრივი თვითმმართვე-
ლობის და რაიონული მმართველობის ბიუჯე-
ტებს შორის საშუალოდ შეადგენდა 40%-ს
ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯე-
ტებისათვის და 60%-ს რაიონული მმართვე-
ლობის ბიუჯეტისათვის. აღნიშნულ ნორმატივს
რაიონის საკრებულო ამტკიცებდა. 2003 წლის
ადგილობრივი ბიუჯეტების შედგენისას
ლაგოდეხის რაიონის საკრებულოს წევრთა
ერთხულოვანი მოთხოვნით და პროგრამის
ექსპერტთა რეკომენდაციებით აღნიშნული
ნორმატივი დამტკიცდა თვითმმართველობის
ორგანოთა ბიუჯეტების სასარგებლოდ,
საშუალო პროპორციით 80%-20%-ზე. ამან,
ბუნაბრივია, გაზარდა თვითმმართველობის
ორგანოთა შესაძლებლობა დაეფინანსებინათ
საკუთარი ექსკლუზიური უფლებამოსილებე-
ბის თუნდაც მცირედი ნაწილი.

Local budget project of village Mtispiri (Ozurgeti region) for 2004 has been designed according to the newly approved law "On budgetary systems of Georgia" with the assistance of program experts. This budget project became exemplary for the whole region. Regional Unit of the Ministry of Justice in Guria required all the other self-governments to design their local budgets taking as a model budget of Mtispiri.

■ In 18 target self-governments requirements of Georgian Adminis-
trative Code concerning free access to public information are success-
fully fulfilled. Namely: the person for information provision is appointed, the approved normative acts are published and information about Sakrebulo (or Gamgeoba) sessions is publicised; information, which has to be publicized according to President's 95th resolution is posted up in the administrative building; in 10 Sakrebulo's public register is

For many years income from the land tax in Lagodekhi region was divided between local self-government and regional budgets in favor of regional budget in the following proportion respectively: 40% - 60%. This proportion was approved by regional "Sakrebulo". In 2003 at the initiative of Lagodekhi "Sakrebulo" and following the consulta-
tions of CSRDG's experts the new norm, favorable for local self-governments' budget has been approved: 80% for local self-government and 20% for regional budget. This enabled the former to finance the greater part of its exclu-
sive responsibilities.



ულ შენობაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია პრეზიდენტის 95-ე ბრძანებულებით გათვალისწინებული სავალდებულო ინფორმაცია, 10 საკრებულოში ხდება საჯარო რეესტრის წარმოება პროგრამის თანამშრომლების მიერ ადაპტირებული ფორმის შესაბამისად;

ლაგოდეხის რაიონში შემავალი ნინიგორის თვითმმართველობის ლიდერებმა ადგილობრივი პრობლემების გადაჭრის გზებისა და რესურსების მოძიების მიზნით დანერგეს მოსახლეობასთან შეხვედრის ტრადიცია, რის შედეგადაც მხოლოდ და მხოლოდ ადგილზე მობილიზებული ფინანსებითა და ტექნიკით შიდასასოფლო გზის მნიშვნელოვანი მონაკვეთი შეკეთდა.

■ 6 სამიზნე თვითმმართველობაში როგორც ადგილობრივი ხელისუფლების, ისე სოფლის ლიდერთა ჯგუფების აქტიური ჩართულობით და პროგრამის ექსპერტ-ეკონომისტთა კვალიფიციური დახმარებით შემუშავდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სამწლიანი პროგრამები, ხოლო 12 მათგანში — პროგრამული ბიუჯეტები;

■ 18 სამიზნე საკრებულოში პასუხისმგებელი პირების მონაწილეობით შემუშავდა და მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი გახდა დადგენილი მომსახურების ჩამონათვალი (სერვის პაკეტები), წარსადგენი დოკუმენტაციის, ტარიფების, ვადებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით;

■ 5 სამიზნე თვითმმართველობაში (მთისპირი, დვაბზუ, შრომა, შემოქმედი და ნინიგორი) მომზადდა მიზნობრივი პროგრამები „სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების შერჩევისა და დაფინანსების წესის“ შესახებ პრეზიდენტის 711-ე ბრძანებულების შესაბამისად;

■ გაიზარდა ადგილობრივი ხელისუფლების ლიდერთა აქტიურობა ლაგოდეხისა და ოზურგეთის რაიონების ასო-

administered according to the adapted form, designed by program participants;

■ In six target self-governments three-year programs of social-economic development have been elaborated and in 12 self-governments program budgets have been drawn up with active participation of local authorities and village leaders and professional support of program experts;

■ In 18 target Sakrebulo the list of provided services (service-packages) with indication of the documents to be submitted, tariffs, time constraints and persons in charge have been elaborated and publicized.

■ In five target self-governments (Mtispiri, Dvabzu, Shroma, Shemoqmedi and Ninigori) special purpose programs have been designed in accordance with President's 711-th Decree "On selection and financing the special-purpose state programs";

-LG leaders of Lagodekhi and Ozurgeti regions more actively defend the interests of the villages they represent on the regional level

■ in the associated local governments (Sakrebulo). This is most obvious on the example of designing budgets and division of competences.



ცირებულ საკრებულოებში. ისინი უფრო აქტიურად ახდენენ საკუთარი სოფლების ინტერესების დაცვას რაიონული მმართველობის დონეზე, რაც განსაკუთრებით ნათლად ჩანს ბიუჯეტების ფორმირებისა და კომპეტენციათა გამიჯვნის სფეროში.

ოზურგეთის რაიონის თვითმმართველობები, დამკვიდრებული ტრადიციით, ცენტრალური ხელისუფლების მიერ გადაცემულ (დელეგირებულ) უფლებამოსილებებს საკუთარი დაფინანსებით ახორციელებდნენ, რაც მძიმე ტვირთად აწვა მათ ისედაც მწირ ბიუჯეტებს. 2003 წლიდან, რაიონში შემავალი თვითმმართველობის ლიდერთა მოთხოვნით და პროგრამის ექსპერტთა კონსულტირებით, დელეგირებულ უფლებამოსილებათა დიდი ნაწილის დაფინანსება, კანონის დაცვით, რაიონული ბიუჯეტიდან ხორციელდება.

Self-governments of Ozurgeti region usually exercise their obligations delegated by central government with their own finances. It was a heavy burden for meager budgets of these self-governments. Starting from 2003 at the demand of self-government leaders of the region and following the consultations of program experts, most delegated obligations are financed from the regional budget, in accordance with the legislation.

COMMUNITY MOBILIZATION

მოსახლეობის გააქტიურება

მოსახლეობასთან ინტენსიური მუშაობის მიზანი სამოქალაქო ჯგუფების შექმნა და მათი ხელშეწყობა, აგრეთვე თვითმმართველობებთან თანამშრომლობითი ურთიერთობის დამკვიდრება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი ჩართვაა. ამის შედეგად თემში ახალი ურთიერთობები ყალიბდება და იზრდება არსებული სოციალური კავშირების ხარისხი, რაც ერთობლივი ძალისხმევით ადგილობრივ პრობლემათა მოგვარებას უზრუნველყოფს.

The purpose of community mobilization is creation and promotion of civil groups, their involvement in decision-making process and establishing cooperation with self-governments. As a result, new relations are formed in the community, the quality of extant social relations is improved; all this ensures joint solution of local problems.

მეთოდი

ამ მიმართულებით პროგრამის საქმიანობა ეფუძნებოდა თემის თანამონაწილეობითი განვითარების პრინციპს. საქმიანობა სოფლის თანამონაწილეობითი მოკვლევის მეთოდით და მიკროგრანტების პროგრამის მეშვეობით ხორციელდებოდა.

METHOD

In this direction activities under program were based on the principle of community participatory development. Activities were implemented according to the method of participatory rural appraisal and through micro grants program.



მოკვლევის წინა ეტაპი

თავდაპირველად სამიზნე საკრებულოში (თემში) შემაგალ სოფელთაგან, უფრო ინტენსიური საქმიანობისათვის, ერთი სოფელი შეირჩევა. ამ მიზნით თითოეულ სოფელში ტარდება წინასწარი მოკვლევითი ორდღიანი სამუშაოები; მოკვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეირჩევა ის სოფელი, სადაც პროგრამა უფრო ინტენსიურად იმუშავებს. წინასწარი მოკვლევისას ძირითადად განისაზღვრება სოფლის მზადყოფნა და სურვილი პროგრამაში მონაწილეობისათვის, ასევე მყარდება პირველადი კონტაქტები.

მოკვლევის ეტაპი

ცენტრისა და ადგილობრივი პარტნიორების კვალიფიციური ექსპერტებით დაკომპლექტებული, გენდერულად დაბალანსებული შერეული ოთხკაციანი ჯგუფი შერჩეულ სოფელში ატარებს ოთხ-ხუთ დღიან მოკვლევით სავსელ სამუშაოებს. მოსახლეობასთან და ფოკუს ჯგუფებთან ინდივიდუალური ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუების გზით ხდება ინფორმაციის ამოღება სოფელში არსებული რესურსებისა თუ პრობლემების, სოფლის ისტორიისა და ტრადიციების შესახებ. მოკვლევის პროცესში ამოღებულ ინფორმაციას მომკვლევთა ჯგუფი აანალიზებს და პრეზენტაციისათვის შესაფერის სახეს აძლევს სქემების, დიაგრამებისა და რუკების ფორმით. ბოლო დღეს ინიშნება სოფლის შეკრება, სადაც მოსახლეობას წარედგინება პროგრამა, მისი მიზნები და ასევე შეგროვებული ინფორმაცია. თავად კრების მონაწილენი წყვეტენ სოფელში არსებულ პრობლემათაგან, რომელია ყველაზე პრიორიტე-

Period before appraisal

At the outset village for the active intervention is selected from the villages of target community (Sakrebulo). With this aim preliminary two-day assessment is conducted in each village. Based on the results of the pre-assessment the village, where program works more intensively is selected. During the pre-assessment readiness of the village and its willingness to participate in the program is assessed, primary contacts are also established.

Participatory rural appraisal (PRA)

The four-person genderely balanced group consisting of qualified experts from CSRDG and regional partner organizations conducts 4-5 days field-work in the selected village. Through the informal, semi-structured individual interviews with community members and focus-groups the information about existing potential, resources and problems, village history and traditions is acquired. Afterwards information is analyzed by members of PRA team and prepared for presentation enriched with maps, diagrams and schemes. On the last day of the appraisal village meeting is organ-





ტული, აგრეთვე ირჩევენ ადგილობრივ აქტივისტთა, ლიდერთა გუნდს, ე.წ. კომიტეტს, რომელიც თავის თავზე იღებს პრობლემის მოგვარების საქმეს და შესაბამისი სამუშაოების ორგანიზებას. ამის შემდეგ სწორედ სოფლის კომიტეტი ხდება ანგარიშვალდებული როგორც მოსახლეობის, ისე პროგრამის განმახორციელებელი გუნდის წინაშე. ტარდება პირველი საორიენტაციო შეხვედრა კომიტეტთან, რომელზეც ხდება კონკრეტული ფუნქციების გადანაწილება და შემდგომი ნაბიჯებისათვის ვადების დათქმა.



„ფეხლახანა მიყვარს ამ პროგრამას გამოიწვიოს ის, რომ მოსახლეობაში საინფორმაციო იმედი, რომ ჩვენს გზაში არის სწორი შედეგისათვის ეს არის ამ ორგანიზაციის დახმარებით. რომელიც თითოეული ოჯახთან მივიდა. თითოეული ოჯახი მოიწვიეს.“
ოქია ზომეროვი,
კომიტეტის წევრი

მოკვლევის შემდგომი ეტაპი

ეს პერიოდი ყველაზე ხანგრძლივი და პრობლემატურია, იგი სულ მცირე ერთ წელიწადს გრძელდება. ამ ეტაპზე ხდება მიკროგრანტების პროგრამის კომპონენტის შემოტანა, მიმდინარეობს კომიტეტის წევრთა უნარ-ჩვევების ზრდა მათი ინფორმირებისა და კონ-



ized were the program, its tasks and gathered information is presented to the population. Participants of the meeting prioritize the village problems and identify specific problems for solution. They also elect the village committee, which consists of local activists, leaders. The committee is responsible for the problem solution and relevant management. From this time on committee becomes accountable to the population and program implementing group. The first meeting with the committee is conducted where functions are distributed among the committee members and dates are set for the further activities.

This program aroused the hope that we are able to do something. This happened thanks to the implementing group. They went to each family, talked to them and invited to the community meeting.
Otia Khomeriki
Committee member

Period following appraisal

This is longest and most complicated period, which lasts at least one year. At this stage the micro-grants program is launched, committee members are provided information and consultations in order to develop skills; if needed interests of the population are defended.



სულტირების გზით და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობის ინტერესთა დაცვა.

მიკროგრანტების პროგრამა

მიკროგრანტების პროგრამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანია ლიდერების ჯგუფის ფორმირების ხელშეწყობა და მათი გაძლიერება.

გურგენიანი - ზოგიერთი სამიზნე სოფლის წარმატებულმა მაგალითმა ასახვა ჰპოვა მეზობელ არასამიზნე სოფლებშიც, სადაც თავად მოსახლეობის ინიციატივით მსგავსი აქტივისტთა ჯგუფები შეიქმნა და ადგილობრივი პრობლემებიც მოგვარდა. ერთ-ერთი სამიზნე სოფლის, ზემო გურგენიანის გამოცდილება გაიზიარეს და მისი მაგალითი გადაიღეს მეზობელი სოფლის, ქვემო გურგენიანის მაცხოვრებლებმაც. კერძოდ, სოფელში გამოიკვეთა აქტივისტთა გუნდი, რომლის ძალისხმევითაც შენარჩუნდა ძველი კოლმეურნეობის უძრავი ქონება და მისი შემდგომი რეალიზაციით შემოსული თანხა, სოფლის გადაწყვეტილებით, საერთო საქმეს უნდა მოხმარებოდა. ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციის დახმარებით სოფლის აქტივისტთა ჯგუფმა შეიმუშავა და ფონდში - „ღია საზოგადოება - საქართველო“ - წარადგინა პროექტი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტი არ დაფინანსებულა, აქტივისტებმა შეძლეს საჭირო თანხების მოძიება და სოფელში გააგრძელეს შეხვედრების შენობა, ხოლო მის მიმდებარე ტერიტორიაზე სპორტული მოედანი მოაწყვეს.

აღსანიშნავია, რომ ორივე სოფლის ერთიანი ძალისხმევით და ადგილობრივი მმართველობის აქტიური თანამონაწილეობით მოიხრეშა სოფელ ზემო გურგენიანისა და ქვემო გურგენიანის დამაკავშირებელი გზა.

Micro grants program

One of the main objectives of the micro-grants program is promoting creation of group of local leaders and its strengthening.

Local partners facilitate participatory planning of the micro-project - in this process local self-government and all stakeholders are involved. In the beginning intensive consultations and trainings on project design, distribution of the functions, financial management is provided to the village committee. Afterwards committee members prepare project proposal and budget, which are considered by special board created at

Gurgeniani - It is remarkable that following the example of successful villages population of other villages also decided to deal with their problems.

For example successful implementation of the micro-project in village Zemo-Gurgeniani inspired community of the neighbouring village Qvemo-Gurgeniani to solve its problems. Newly created civil group (committee) has prevented illegal selling of the village property - immovables (former Kolkhoz property). According to the decision of the community income from the realization of the immovables will serve the solution of the village problems.

Besides, with the help of local partner organization committee has designed the project proposal and submitted it to the "Open Society - Georgia" foundation. Though the grant has not been awarded community managed to raise necessary sum, restored House of Culture and arranged mini-stadium on the adjacent territory.

It is worth mentioning that with joint efforts of both villages and active participation of local government the road connecting Zemo-Gurgeniani and Qvemo-Gurgeniani has been repaired (covered with crashed stone).



ვაკიჯვარი - სოფელ ვაკიჯვარში 2002 წელს განხორციელებული მიკროპროექტით 118 ოჯახისათვის სასმელი წყლის მიწოდების პრობლემა გადაწყდა. ამ წარმატებულმა მაგალითმა მოსახლეობას სხვა პრობლემების საკუთარი ძალებით მოგვარების სურვილი გაუჩინა. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ კომიტეტის ინიციატივით შეაკეთეს სოფლის ძლიერ დაზიანებული გზა და ხიდი, ასევე აღადგინეს ჭარიშხლის შედეგად დაზიანებული ადგილობრივი მინი ელექტროსადგური.

3800 ლარის ოდენობის საგრანტო თანხით. აქვე აღვნიშნავთ, რომ პროექტის დაფინანსების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა სოფლის მხრიდან საერთო ბიუჯეტის 20%-იანი შენატანია (ნაღდი ფულით). ამ თანხის შეგროვების უზრუნველყოფაც კომიტეტის პასუხისმგებლობაა. მიკროპროექტების უმრავლესობა ეტაპობრივია და, შესაბამისად, თანხაც ეტაპობრივად გაიცემა, წინა ეტაპის შეფასების საფუძველზე. პროექტის მიმდინარეობის ინტენსიურ მონიტორინგს და ტექნიკურ დახმარებას ადგილობრივი პარტნიორები ახორციელებენ, ხოლო საკვანძო ეტაპობრივ მომენტებში ცენტრის ექსპერტებიც მონაწილეობენ.

თავად კომიტეტის ანგარიშვალდებულება მოსახლეობის წინაშე ხორციელდება სოფლის შეკრებების ორგანიზებით მიკროპროექტის მიმდინარეობის დროს,

გომი - ადგილობრივი ლიდერები მხოლოდ მიკროპროექტის წარმატებული განხორციელებით (ტელეანძის დამონტაჟება) არ შემოიფარგლენ. პროექტის დასრულებისთანავე ისინი სათავეში ჩაუდგნენ სოფლის ეკლესიის მშენებლობას. მათივე ინიციატივით აღდგენილ აქნა სოფელში არსებული ავტობუსების მოსაცდელი. სულ ახლახანს კი თვითმმართველობის ფინანსური მხარდაჭერითა და გომის კომიტეტის თაოსნობით შერემონტდა კულტურის სახლის შენობა.

CSR DG. After revising the project and considering remarks and recommendations the micro-grant of maximum 3800 GEL is awarded.

It has to be mentioned that necessary condition of awarding the grant is financial contribution from the village amounting to 20% of total budget (in cash). Village committee is responsible for collecting the sum. Most of the micro-projects are implemented in two phases; consequently, the micro grant is also given stage-by-stage - each part of the sum after assessing the previous stage of the project. Local partners intensively monitor project implementation and provide technical assistance; at the milestones of the project implementation experts from the CSR DG are also involved.

Vakijvari - In frames of the micro-project implemented in the village Vakijvari in 2002 drinking water has been supplied to 118 families residing in the village. This positive example has inspired community to deal with other problems as well. On the initiative of the committee the village road and the bridge have been renovated, the mini electric power-station damaged during the storm has also been repaired.

Accountability of the committee to the population is realized through arranging village meetings in the course of micro-project, especially at the middle and final stages and whenever the problem arouses. At these meetings information about ongoing activities and spending is provided to the population.

In the beginning people did not believe that it was possible to implement such a project. They did



განსაკუთრებით კი რაიმე პრობლემური სიტუაციის შექმნისას და პროექტების შუალედურ და საბოლოო ეტაპებზე. ამ შეკრებებზე მოსახლეობას მიეწოდება ინფორმაცია მიმდინარე საკითხებსა თუ ფინანსურ ხარჯებზე.

„თავდაპირველად ჩვენს აზრით, რომ შეიძლება ასეთი პროექტების გაყვება, სადაც უიღებოდა რაღაცას გასაგებობის მხოლოდ იმისათვის, რომ სოფელს დაეხმაროს. ძნელი იყო თავიდან. ახლა ყველა უნდა იცოდეს, ძირითადად, გაქრის, რაღაც პროექტი გაყვითა, არსებობს პრობლემა და მოცილობენ ცენტრში, ავტომატურად. ჩვენ გვინდა ყოველგვარი თქვენს სამსახურში, სოფლის მეურნეობაში“

დამატებითი საგრანტო კონკურსი

შექმნილი სამოქალაქო ჯგუფების - კომიტეტების - სტაბილურობის მიღწევის მიზნით პროგრამის ბოლო წელს ორივე რაიონისათვის ცალ-ცალკე გამოცხადდა დახურული კონკურსი წარმატებული კომიტეტებისათვის. კონკურსში გამარჯვებულებს საშუალება მიეცათ თავიანთ სოფლებში მოეგვარებინათ კიდევ ერთი პრობლემა. კონკურსის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა თანადაფინანსება სხვა დონორების თუ ადგილობრივი მმართველობების მხრიდან. გაიმარჯვეს სამიზნე კომიტეტების ბაზაზე შექმნილმა თამარიანისა (ლაგოდეხი) და ქაქუთი-ჭანიეთის (ოზურგეთი) სათემო ორგანიზაციებმა. თამარიანის პროექტის თანადაფინანსებელი გახლდათ ფონდი ჰორიზონტი, ხოლო ქაქუთი-ჭანიეთისა - რაიონული გამგეობა და ადგილობრივი თვითმმართველობა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ უკანასკნელის შემთხვევაში პროგრამის

Gomi - In Gomi village community has installed a TV tower. As soon as the micro-project was completed village committee initiated construction of the church in the village; the central bus stop shelter has also been repaired. Besides, with the assistance of the whole village and financial support of local self-government committee managed to renovate the building of the House of Culture.

not believe that someone will give the money just to help the village. It was difficult in the beginning. Now, people have more trust as the project is implemented. NGOs were coming from the region, from Tbilisi, everyone here felt their attention.

Tengiz Samkharadze, community member

Additional grant competition

During the last year of the program with the aim of ensuring the sustainability of newly created community groups - committees - additional grant competition for the successful committees has been announced in both regions. Competition enabled winner committees to solve one more problem in their villages. One of the main conditions of the grant competition was co-financing from other donor or local government. The grants were awarded to the community-based organizations from Tamariani (Lagodekhi) and Qaquti-Chaniety (Ozurgeti), which have been created on the basis of target committees. Co-financing was provided by "Horizonti" foundation (for Tamariani) and local self-government and regional Gamgeoba of Ozurgeti (for Qaquti-Chaniety). In the latter case awarded grant covered only 42% of the total budget of the project.



ფარგლებში გაცემული გრანტი მთელი პროექტის ბიუჯეტის მხოლოდ 42%-ს შეადგენდა.

კომიტეტთან მუშაობა

შექმნილი კომიტეტების საქმიანობის ეფექტურობის ასამაღლებლად კომიტეტის წევრებს დამატებით უტარდებოდათ ტრენინგები და სემინარები შემდეგ საკითხებზე: გუნდური მუშაობა და ლიდერობა; პროექტის წერა და მართვა; თანამონაწილეობითი დაგეგმვის ტექნიკები; თანამონაწილეობითი მოკვლევის მეთოდები; თვითმმართველობის არსი და ფუნქციები.

მოსახლეობის ინტერესთა დაცვა

რამდენიმე თემში წარმოიშვა მოსახლეობის ინტერესთა დაცვის საჭიროება. ასე მოხდა გურიის რეგიონში, სადაც ადგილი ჰქონდა შავიზღვისპირა ზოლში არსებული მოსახლეობის კუთვნილი მიწების (ყოფილი კოლმეურნეობების მიწების) უკანონოდ გასხვისებას. ამ ფაქტმა სოფლის მკვიდრთა დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ჭანიეთის და მთისპირის მოსახლეობამ მიმართა პროგრამის რეგიონალურ პარტნიორ ორგანიზაციას, როგორც იურიდიული ექსპერტიზის მქონე გავლენიან ორგანიზაციას, სთხოვა საკითხის შესწავლა და მათი ინტერესების დაცვა. ორივე შემთხვევისათვის ორგანიზაციამ გამოთხოვა და შეისწავლა შესაბამისი დოკუმენტაცია. ეს პროცესი რაიონული ხელმძღვანელობის მხრიდან მრავალი წინააღმდეგობის გამო საკმაოდ რთულად მიმდინარეობდა, რასაც მოსახლეობის არაერთგზის საპროტესტო აქცია მოჰყვა.

არასამთავრობო ორგანიზაცია რაიონული გამგეობის ბაზაზე შექმნილ სპე-

Work with the committees

In order to raise effectiveness of newly-created committees their members were provided with additional trainings and seminars on the following topics: team-work and leadership; project design and project management; participatory planning techniques; participatory rural appraisal techniques; concept of local self-government and its functions.



Advocacy cases

Activities conducted in several villages revealed that there was acute need of advocacy.

For example in Chaniety and Mtsipiri (Guria region) the Black Sea bordering lands that belonged to the villages (former lands of collective farms - Kolkhozes) have been illegally sold. This fact caused serious discontent of the population. Chaniety and Mtsipiry communities aware of the activities of "Democratic Development Union of Georgia" (partner organization of the program) addressed this organization with the request to provide legal aid and defend their interests.

"Democratic Development Union of Georgia" have required and examined all the corresponding docu-



ციალურ შემსწავლელ კომისიაშიც ჩაერთო. შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ შავიზღვისპირა ზოლში მცხოვრები მოსახლეობის კუთვნილი მიწები უკანონოდ გასხვისდა. მომზადდა შესაბამისი დასკვნა, რომელმაც მრავალი თანამდებობის პირი კორუფციაში ამხილა. დასკვნა რეაგირებისათვის მიეწოდა რაიონულ გამგეობას. მთელ ამ პროცესში თავად სამიზნე თემის მოსახლეობა და ლიდერები აქტიურად ედგნენ მხარში არასამთავრობო ორგანიზაციას. რაიონულმა გამგეობამ დეტალურად შეისწავლა ეს საკითხი. ამ ეტაპისათვის მოგვარებულია ჭანიეთის მოსახლეობის პრობლემა, კერძოდ კი რაიონის გამგეობის გადაწყვეტილებით მათ გადაეცემათ აღნიშნული მიწების ღირებულების შესაბამისი თანხა. რაც შეეხება მთისპირის საკითხს, განხილვის პროცესი კვლავაც გრძელდება.

ადგილობრივ ხელისუფლებასთან თანამშრომლობის ხელშეწყობა

მიკროპროექტების შედეგები ბევრად უფრო მდგრადი და ხანგრძლივია, როდესაც ფორმირებული კომიტეტები აქტიურად თანამშრომლობენ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, ჯერ კიდევ მიკროპროექტის დაგეგმვის ეტაპზე აქტიურად ხდება თვითმმართველობის წარმომადგენელთა

ვერხვიმინდორი - სოფელში საქმიანობა გარკვეული სირთულეებით დაიწყო, რაც მეტწილად მოსახლეობის უნდობლობითა და პასიურობით იყო გამოწვეული, თუმცა პროექტის მიმდინარეობამ და პროგრამის განმახორციელებელთა ძალისხმევამ სასურველი შედეგი გამოიღო. პროექტი სოფლის მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგებას ისახავდა მიზნად. ორ ოჯახზე ერთი საერთო ონკანის დამონტაჟება იყო გათვალისწინებული, თუმცა მოსახლეობის დამატებითი ხარჯებითა და

ments. Organization has faced many obstacles on the part of regional government. Local population has arranged several protest actions. DDUG has been included in the special commission founded at the regional government (Gamgeoba) to examine the case. It has been revealed that the lands in question have been sold illegally; many local officials have been proved to be guilty of corruption. Appropriate conclusions have been submitted to the regional government (Gamgeoba). During the whole process of the investigation community members and leaders actively supported DDUG.

Gamgeoba has examined the issue. At present on the decision of Gamgeoba Chaniety population has been paid indemnification for the lands in question (the sum equivalent to the value of the land).

The issue of Mtsipiri is still under consideration.

Promoting cooperation with local government

Results of micro-projects are much more sustainable and long-lasting, when village committees actively cooperate with local governments. With this aim representatives of local governments were actively involved in the implementation of micro-projects from the very outset - from the stage of planning. Self-governments provided important assistance, sometimes even financial aid, to the committees in implementing the micro-projects. This kind of collaboration created positive precedents and consequently, 54 other local problems have been solved with the joint efforts of committees and local governments.



ძალისხმევით წყალი თითქმის ყველა ოჯახში შეიყვანეს.

შემდგომში კომიტეტისა და თვითმმართველობის ერთობლივი ძალისხმევით გაიწმინდა მდინარე არეშის კალაპოტი და ამოღებული ჭაღორდით მოიხრეშა სოფლის გზა. საჭირო თანხა მოძიებულ იქნა რაიონის გამგეობიდან.

ჩართვა. თვითმმართველობა აქტიურად ეხმარება კომიტეტს მიკროპროექტის განხორციელებაში, რიგ შემთხვევებში ფინანსურადაც კი. ამგვარმა თანამშრომლობამ ადგილობრივი თვითმმართველობისა და შექმნილი კომიტეტების ინიციატივით სხვა დამატებითი 54 პრობლემის მოგვარება განაპირობა.

Verkhvimindori - at the outset implementation of the micro-project faced difficulties caused by inertness and distrust of the population. But little by little people got involved in the work and positive result has been achieved. Project envisaged supplying the whole village with drinking water and installing taps for the joint use of every two families. However, on their initiative people made individual taps and virtually every home has been supplied with water. Later on with the joint efforts of village committee and local self-government river-bed of the river Areshi has been cleaned and with the crushed stone removed from there population has renovated the village roads. Needed finances have been contributed by regional government (Gangeoba).

ჩატარებული სამუშაო და მისი შედეგები


ორივე რაიონის 18 სამიზნე საკრებულოში განხორციელებული საქმიანობის შედეგად შეიქმნა 17 სოფლის კომიტეტი; მხოლოდ მიკროგრანტების მეშვეობით მოგვარდა 19, ხოლო ინტერესთა დაცვით - 1 ადგილობრივი პრობლემა. გარდა ამისა, კომიტეტებისა და თვითმმართველობების ერთობლივი ინიციატივით დამატებით მოგვარდა 54 პრობლემა. სულ ამ საქმიანობის შედეგად საცხოვრებელი გარემო გაუმჯობესდა 10 200 ადამიანს.

CONDUCTED WORK AND ITS RESULTS


As a result of the activities conducted with 18 target Sakrebulo (self-governments) of both target regions 17 village committees have been created. 19 local problems have been solved in frames of micro-grants project, and one - through enacting advocacy mechanisms. Besides, 54 problems have been solved with the joint efforts of village committees and local governments.



მიკროგრანტების პროგრამით მოგვარებული პრობლემები PROBLEMS SOLVED THROUGH MICRO-GRANTS PROGRAM



მიკროგრანტების განხორციელებაში შეტანილი ფულადი წვლილი FINANCIAL CONTRIBUTIONS TO THE MICRO-GRANTS PROGRAM





2002 წელი

YEAR 2002

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამა
LOCAL DEMOCRACY DEVELOPMENT PROGRAM

პროექტი:

სოფლის შიდა გზების რემონტი
ოზურგეთის რაიონი, სოფელი ბაილეთი

კომიტეტის წევრები:

სპარტაკ მამულაშვილი, ამირან
ზაქარიძე, გონერი ჩხარტიშვილი,
აკაკი ზაქარიძე, ალექსანდრე
ცერცვაძე

ხშირი წვიმებისა და ნიაღვრების
შედეგად სოფელ ბაილეთში შიდა გზე-
ბის ავარიული მდგომარეობა ტრანს-
პორტის მოძრაობასა და მოსავლის
აღების პროცესს აფერხებდა, ასევე
მეზობელ სოფლებთან ურთიერთობის
შესაძლებლობასაც ზღუდავდა. სოფელ
ბაილეთის 200 კომლიანი მოსახლეობი-
სთვის გზების საკითხის გადაჭრა მძიმე
აღმოჩნდა.

სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა
არასამთავრობო ორგანიზაციების დახმარებით და საკუთარი ძალისხმევით მოეგვარებინა პრობლემა და შესაბამისი პროექტი შეიმუშავა. მოსახლეობამ პროექტი წარმატებით შეასრულა. ამ პროექტის წარმატებით დასრულების შედეგად მოსახლეობას სხვა პრობლემების მოგვარების სურვილიც გაუჩნდა: სოფელმა საკუთარი ძალებით გამოცვალა მოძველებული ელექტრო ბოძები, რის შედეგადაც სოფელს ელექტრო ენერგიის მიწოდება გაუმჯობესდა.

პროექტი:

ყვარისულის წყალი
ოზურგეთის რაიონი, სოფელი ვაკიჯვარი

კომიტეტის წევრები:

ლამარა ხაჩიძე, ვალერიან ოსტროვსკი,

PROJECT:

VILLAGE ROAD
VILLAGE BAILETI, OZURGETI REGION

Committee members:

Spartac Mamulashvili, Amiran
Zaqariadze, Goneri Chkhartishvili,
Akaki Zaqariadze, Aleksander
Cercvadze.

Description: The road connecting village with the agricultural lands and near by villages has not been renovated for the last ten years. Due to the frequent rains and floods the road was in a very bad condition and created lot of problems to the villagers, especially during the harvest period, because of complicated transportation. Population of the village, consisting of 200 families was not able to solve the problem independently. They have submitted the project in frames of micro-grants program and received the grant. The project has been implemented successfully - quite long section of the road has been repaired.

It is noteworthy that after completion of the project village population decided to handle other problems as well. At the initiative of the committee villagers have collected the money and repaired electricity poles thus improving electric power supply to the village.

PROJECT:

TSKHVRISULI TSKALI
VILLAGE VAKIJVARI, OZURGETI REGION

Committee members:

Lamara Khachidze,



სოსო ჩაველიშვილი, მამუკა სიამაშვილი,
მარინა დოლიძე, ჭოლა სიამაშვილი

Valerian Ostrovski,
Soso Chavleishvili,
Mamuka Siamashvili,
Marina Dolidze,
Chola Siamashvili.

მიუხედავად იმისა, რომ სოფელ ვაკიჯ-
ვარს უხვწყლიანი მდინარე ესაზღვრება,
სოფლის მოსახლეობის დიდი ნაწილი
სასმელი წყლით ვერ მარაგდებოდა. ეს
პრობლემა 118 კომლის სატკივარი იყო.
ადგილობრივი დემოკრატიის
განვითარების პროგრამის ფარგლებში
სოფლის მოსახლეობის მიერ არჩეულმა
კომიტეტმა ამ პრობლემის მოგვარებაზე
დაიწყო ზრუნვა. პროექტის განხორ-
ციელების პროცესისთვის ხელის
შემშლელი ფაქტორი აღმოჩნდა ბუნე-
ბრივი სტიქია, კერძოდ, წყალდიდობა.
თუმცა ამ წინააღმდეგობების მიუხე-
დავად პროექტი წარმატებით დასრულ-
და. მოსახლეობამ გააკეთა სასმელი
წყლის სათავე ნაგებობა, წყლის დასაღე-
ქი მოწყობილობა, ასევე დაამონტაჟა 25
ტონიანი ავზი და მილების საშუალებით
სასმელი წყალი მიუერთდა სოფელში
გამავალ წყლის მაგისტრალს.
მოსახლეობის აქტიურობის და ერთიანი
ძალისხმევის შედეგად 2003 წლის ზაფხ-
ულიდან სოფლის მოსახლეობა
შეუფერხებლად მარაგდება სასმელი
წყლით.

„სოფელი გზნიცრიცა წახმელოი წყლის
რიფიციცს. აწორი, 30 წლის წინ იყო
წახმელოი წყალი, მაგრამ აწორს მიწოები
რახიანცა რა ბოლო 3 წელი თითქმის
აწი გუჭონცა წყალი. აწორს 120 ოჯახი
ყოფი წარგებლობს წახმელოი წყლით.
ამოიწონტჲს სოფელიმჲს.“

კომიტეტის წევრი

ერთობლივი მუშაობისა და მობილიზების
შედეგებმა მოსახლეობას არაერთი
საერთო პრობლემის გადაჭრის სურვილი
გაუღვივა, რის შედეგადაც საკუთარი
ძალებით შეკეთდა სოფლის დაზიანებუ-

Description: Despite of the rich water
resources (large river flows near the vil-
lage) village consisting of 118 families
suffered serious lack of drinking water.
The elected village committee identified
this problem as most argent and took
steps for its solution in frames of the
micro-grants program. Despite the ter-
rible flood, which took place during the
project implementation, the project has
been successfully completed.

Village population has built the main
pumping station, fixed water filtration
system and 25-tones water container
which has been connected to village
water-pipes.

As a result, starting from summer 2003
drinking water has been supplied to
every house in the village.

*Village has suffered lack of
drinking water. 30 years ago
there was water here, but since
then water-pipes have been
damaged and for the last three
years we did not have drinking
water at all. Now 120 families
are supplied with the water. It
is an immense relief for us*

Committee member.

Encouraged with this success villagers
have decided to handle other problems
as well. On their own initiative and with
community contribution they have
repaired the destroyed bridge and local
mini electric power station which has
been damaged during the storm.



ლი გადასასვლელი ხიდი და ქარიშხლის შედეგად დაზიანებული მინი ელექტრო სადგური.

პროექტი:

სოფლის სიკეთე

ლაგოდეხის რაიონი, სოფელი გურგენიანი

კომიტეტის წევრები:

ილია ბლიაძე, შოთა ბარბაქაძე, მერაბ ვენჯელაშვილი, ლერი გოგოლაძე, ალიკა ჭოფხაძე, ზაზა შუბითიძე, ბახვა ქურდაშვილი, გელა ფართლაძე

ულამაზესი სოფელი გურგენიანი ლაგოდეხის ნაკრძალთან მდებარეობს და მას ზაფხულის პერიოდში მრავალი დამსვენებელი სტუმრობს. ნაკრძალის ტერიტორიაზე მიედინება წყალუხვი მდინარე და სოფელი ასევე განთქმულია აქ არსებული ულამაზესი ჩანჩქერით. როგორც აღვნიშნეთ სოფელი მდიდარია წყლის რესურსებით, მიუხედავად ამისა სოფელში მაინც არსებობდა სასმელი წყლის პრობლემა, რადგან სასმელად გამოიყენებოდა მდინარის ჩამონადენი წყალი, რომელსაც ძლიერ აბინძურებდა როგორც სოფლის მოსახლეობა, ისე ნაკრძალის სტუმარიც. შედეგად მოსახლეობაში ეპიდემიების გავრცელების საშიშროება იქმნებოდა.

ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის ფარგლებში ჩატარებული მოკვლევების შედეგად გაირკვა, რომ მოსახლეობას ერთსულოვნად სურდა შემოაღნიშნული პრობლემის გადაჭრა. პროექტით გათვალისწინებული იყო სასმელი წყლის სათავე ნაგებობის და სასმელი წყლის შემგროვებელი ღრუნაფის აშენება. მოსახლეობა აქტიურად შეუდგა პროექტის განხორციელებას, მაგრამ დაგეგმილი სამუშაოების დიდი ნაწილის შესრულების შემდეგ მოხდა

PROJECT:

GOODS OF THE VILLAGE

VILLAGE GURGENIANI, LAGODEKHI REGION.

Committee members:

Ilia Bliadze,
 Shota Barbaqadze, Merab
 Venjeshvili,
 Leri Gogoladze, Alik Popkhadze,
 Zaza Shubitidze,
 Bakhva Qurdashvili,
 Gela Partladze.

Description: Beautiful village Gurgeniiani is situated near Lagodekhi reserve. Due to the spectacular surroundings and good climate it has many visitors during the summertime. The village is also famous for its waterfall. Despite the rich water resources the village suffered serious lack of drinking water. Water available for the population from the river that flows on the reserve territory is not drinkable. The spoiled and dirty water caused various diseases, especially in summer.

The participatory rural appraisal revealed that villagers were unanimous in their wish to solve the above problem. The project designed in the frames of micro-grants program intended to build water reservoir, where the water would get filtered.

Population of the village started to work, but in the course of the project terrible flood took place and destroyed all that has been done during the first stage. This disaster caused great disappointment of the villagers. But the committee has continued its efforts and found the way out. With the help and recommendations of LDD team village committee has submitted the application to the "Open Society Georgia



საშინელი წყალდიდობა, რის შედეგად სათავე ნაგებობა სრულიად დაინგრა. ამ ჩავარდნის მიუხედავად, სოფლის მოსახლეობამ ფარ-ხმალი არ დაყარა და დამატებითი თანხების მოძიებაზე ზრუნვა დაიწყო. ამ მიზნით პროგრამის განმახორციელებელ ორგანიზაციათა დახმარებითა და რეკომენდაციით კომიტეტმა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოში“ წარადგინა პროექტი და იგი დაფინანსდა. მოძიებული თანხებით, მოსახლეობის დამატებითი შენატანით და პროექტის ბიუჯეტიდან დარჩენილი თანხით აღადგინეს სათავე ნაგებობა და 2003 წელს პროექტი წარმატებით დასრულდა.

პროექტი:

სარწყავი სისტემის აღდგენა

თაგორაშის რაიონი, სოფელი თამარიანი

კომიტეტის წევრები:

დათო მათიაშვილი, პაატა ლეკიაშვილი, ლევან ფუტყარაძე, ვალერი გვარამაძე, რეზო ცნობილაძე, ჯუმბერ მესხიშვილი, ვალერი კვერნაძე, ვიტალი კვერნაძე, ვალიკო ბანცაძე, რობინზონ მერაბიშვილი

სოფელ თამარიანში სარწყავი სისტემის უქონლობის პრობლემა გამოიკვეთა, რომელიც მოსახლეობის უმრავლესობის გულისტკივილი იყო, რადგან გვალვების პერიოდში ნათესების 90% ნადგურდებოდა, ეს გარემოება კი, შესაბამისად, მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობაზე აისახებოდა. სოფლის კრებაზე მოსახლეობამ უპირატესობა სარწყავი სისტემის აღდგენას მიანიჭა, შესაბამისი პროექტის განხორციელებაშიც აქტიურად ჩაერთო და წარმატებითაც დაასრულა. დაკმაყოფილდა მოსახლეობის 90%. ხალხის ძალისხმევით მიღებულმა

Foundation" and received additional funding. With the funds raised and additional contribution from the population the work has been brought to its conclusion - the water reservoir has been built and drinking water has been provided to the village.

PROJECT:

RENOVATION OF IRRIGATION SYSTEM VILLAGE TAMARIANI, LAGODEKHI REGION

Committee members:

David Matiashvili,
Paata Lekveishvili,
Levan Putkaradze,
Valeri Gvaramadze,
Revaz Cnobladze,
Jumber Meskhishvili,
Valeri Kvernadze,
Vitali Kvernadze,
Vladimer Cincabadze,
Robinson Merabishvili.

Description: In village Tamariani the irrigation system did not function well. Due to this problem 90% of the harvest was destroyed during the droughts. This fact on its turn has dramatic negative impact on the socio-economic situation in the community. At the village meeting population defined the renovation of the irrigation system as the most urgent necessity. The micro-project has been designed. Villagers actively participated in its implementation and brought it to the successful completion. About 190 from 271 families have benefited from the project.

Encouraged by the success of the project villagers have solved several other problems on their own, namely: the drinking water supply has been improved in one part of the village; the village kindergarten, which was in the poor condition, has been restored with



შედეგმა ახალი ინიციატივების წამოწყებას მისცა დასაბამი და ერთიანი ფიზიკური, ფინანსური ძალებით სოფლის მოსახლეობამ მთელი რიგი დამატებითი პრობლემები მოაგვარა: სოფლის ერთ უბანში გაუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება; სოფელში არსებული საბავშვო ბაღი სავალალო მდგომარეობაში იყო, ამის გამო ეს შენობა უნდა დაეშალათ და გაეყიდათ. კომიტეტის ძალისხმევით მოსახლეობაში შეგროვდა ბაღის გარემონტების თანხები და ღრესდღეობით ბაღში 26 ბავშვი დადის. თავად კომიტეტის წევრების ინიციატივით შექმნილი არაფორმალური ჯგუფი სათემო ორგანიზაციად ჩამოყალიბდა, ამ პროცესს ადგილობრივმა პარტნიორმა ორგანიზაციამ შეუწყო ხელი.

the money collected in the village and now it has 26 pupils.

Besides, at the initiative of committee members the committee has been transformed into community based organization. This process was strongly supported by local partner organization.

YEAR 2003

PROJECT:

HOUSE OF CULTURE

VILLAGE BOKHVAURI, OZURGETI REGION

Committee members:

*Nino Dolidze,
Kale Kobalava,
Temur Chavleishvili,
Vladimer Chavleishvili.*

Description: The ancient village Bokhvauri like many other villages suffers social and economic difficulties. The village consisting of 464 families did not have a single meeting place. The only places where population could come together were the school and football stadium. The House of Culture of the village was almost destroyed. Community considered its reconstruction the top pri-

2003 წელი

პროექტი:


კულტურის სახლი

ოზურგეთის რაიონი, სოფელი ბოხვაური

კომიტეტის წევრები:

*ნინო დოლიძე, თემურ ჩავლეიშვილი,
კალე კობალავა, ვოვა ჩავლეიშვილი*

ერთ-ერთი უძველესი თემი — ბოხვაური, სხვა სოფლების მსგავსად სოციალურ-ეკონომიკურ სიდუხჭირეს განიცდის, 464 კომლიან სოფელში მთლიანად მოშლილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. მოსახლეობისთვის ერთადერთი ნათელი წერტილი სკოლა და საფეხბურთო სტადიონია. სოფელში არსებული კულტურის სახლი, რომელიც მოსახლეობისთვის თავშეყრის ადგილი იყო, ფაქტიურად, განადგურების პირას იყო მისული. სოფლის მოსახლეობამ გადაწყვიტა კლუბი გაერემონტე-





ბინა, ხოლო შემდგომში მის ტერიტორიაზე მუსიკალურ წრეებსა და ბიბლიოთეკას აამუშავებდნენ. აღნიშნული კლუბი ხანდაზმულთა თავშეყრის ცენტრიც იქნებოდა და ახალგაზრდების კულტურული გართობის ადგილიც. მოსახლეობა პრობლემის გადასაჭრელად გაერთიანდა და საქმიანობაც დაიწყო. გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო პროექტის მიმდინარეობა დროში გაიწელა და ამჟამად პროექტის დახურვითი სამუშაოები მიმდინარეობს.

პროექტი:

ეს გზა სოფელში მიგვიყვანს

ოფორცხეთის რაიონი, სოფელი ქაქუთი

კომიტეტის წევრები:

ემზარ მათითაშვილი, ალექსანდრე ქავთარაძე, გოგიტა ქავთარაძე, ენვერ შავიშვილი, თემურ ქავთარაძე

სოფელ ქაქუთის მოსახლეობასთან გამართულ კრებაზე სოფლისთვის პრობლემატური რამოდენიმე საკითხი გამოიკვეთა, რომელთაგან ყველაზე აქტუალური სოფლის შიდა გზების მოწესრიგება აღმოჩნდა. სოფელში უკვე ორი წელია ვერ ხერხდებოდა საყანე ფართობებიდან მომავალი გზის შეკეთება. იგი იმდენად დაზიანებული იყო, რომ მოსახლეობას 3 კმ-ის შემოვლითი გზით უხდებოდა მოსავლის სახლში დაბინავება, ასევე დაზიანებული იყო სასაფლაოსთან დამაკავშირებელი გზა, შიდა გზებზე ვერ მოძრაობდა ავტობუსი.

პროექტის მიმდინარეობისას სოფლის მოსახლეობამ პროექტის მოთხოვნით გათვალისწინებულ 20%-იან წვლილზე მეტი თანხა შეაგროვა, რამაც პროექტის მასშტაბები საგრძნობლად გაზარდა. პროექტის განხორციელებაში თავისი წვლილი ადგილობრივმა თვითმმართვე-

ორით. Villagers wanted to arrange in the restored House of Culture the library, musical study group, place where elderly people could meet each other and youngsters amuse themselves. The population have united its efforts and started activities. For some objective reason the project-implementation required more time than it was supposed. At present only few things should be done for its accomplishment.

PROJECT:


DOES THIS ROAD LEAD TO THE VILLAGE?

VILLAGE QAQUTI, OZURGETI REGION

Committee members:

Emzar Matitashvili,
Aleksander Qavtaradze,
George Qavtaradze,
Enver Shavishvili,
Teimuraz Qavtaradze.

Description: Community meeting in the village Qaquty identified several urgent problems, but renovation of the village roads was considered the top priority. The road leading to the agricultural lands had been damaged for two years and created lot of problems to the local population, which had to transport the harvest by detour road. Road leading to the cemetery and





ლობამაც შეიტანა. პროექტი წარმატებით დასრულდა.

პროექტის დასრულების და მოსახლეობაში ნდობის მოპოვების შემდეგ კომიტეტმა გადაწყვიტა სათემო ორგანიზაციად ჩამოყალიბებულიყო. ეს სხვადასხვა ფონდებიდან თანხების მოძიების პროცესს შეუწყობდა ხელს. აღნიშნულ ორგანიზაციას ეწოდა: სათემო ორგანიზაცია - „ორბი“.

პროექტი:

გომის ტალღა

ოზურგეთის რაიონი, სოფელი გომი

კომიტეტის წევრები:

თემურ გვარჯალაძე,
ილია ლეჟავა, ოთარ ყარეგიშვილი,
ნატო ყაზაშვილი, გია აბაშაძე

სოფელი გომი მაღალმთიანი სოფელია, მას მრავალფეროვან პრობლემებს ინფორმაციული ვაკუუმიც ერთვოდა. აღსანიშნავია, რომ სოფელ გომთან მდებარეობს ბჟუჟჰესი, რის გამოც სოფელს მუდმივი დენი აქვს. მიუხედავად ამისა, სოფლის ძირითად მოსახლეობას (რამდენიმე მაცხოვრებლის გარდა, რომელთაც სატელევიზიო ანტენა ჰქონდათ დამონტაჟებული) ტელევიზორის ყურების საშუალება არ ჰქონდა, საქართველოს ტელევიზიის ვერც ერთ არხს ვერ ღებულობდა. როგორც მოგეხსენებათ, სოფელში გაზეთიც იშვიათი „სიამოვნება“

inner roads of the village were also damaged. Community contribution exceeded the input required by micro-grants program - 20% of total budget. Raised sum made possible to significantly enlarge scale of the project. Local government also made financial contribution to the project. With joint efforts the project was successfully implemented. After this success village committee has been transformed into community-based organization "Orbi".

PROJECT:


GOMI WAVE

VILLAGE GOMI, OZURGETI REGION

Committee members:

Teimuraz Gvarjaladze,
Ilia Lejava,
Otar Karegishvili,
Natalia Kazashvili,
George Abashidze.

Description: Village Gomi is situated high in the mountains. Due to this location population of the village could not receive and watch any Georgian TV channels. The newspapers also reach the mountain village quite seldom and thus population of Gomi suffered serious informational deficit.





ნებაა“. მოსახლეობამ კრებაზე ერთხმად გადაწყვიტა პრობლემა ტელეანძის დამონტაჟებით გადაეჭრა.

მართლაც მთელი სოფელი ერთსულვნად ჩაერთო ამ პროცესში და პროექტიც წარმატებულად განხორციელდა - ახლა უკვე ყველა ოჯახს აქვს საზოგადოებრივი არხის მიღების საშუალება. გახარებულ და იმედჩასახულ მოსახლეობას საკუთარი ძალებით სხვა პრობლემების მოგვარების სურვილიც გაუჩნდა. სოფელში არსებობდა ძველი ეკლესიის ნანგრევები, რაც სოფლისთვის დიდი ტკივილი იყო. მოსახლეობამ კვლავ შეაგროვა თანხა და კომიტეტის აქტიური მონაწილეობით დღესდღეობით ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს.

კომიტეტმა, მოსახლეობის დახმარებით ასევე შესძლო სოფლის ცენტრალური მოსაცდელის შეკეთება, ასევე კომიტეტის ინიციატივით და სოფლის საკრებულოდან გამოყოფილი თანხით სოფელში არსებული კულტურის სახლიც გადაიხურა.

პროექტი:

გოგორეთი 2003

ოზურგათის რაიონი, სოფელი გოგორეთი

კომიტეტის წევრები:

კახა გოგატაძე, მზია ლლონტი, ენვერ მარგალიტაძე, აკაკი რუსიეშვილი

მთაგორიანი სოფელი გოგორეთი 150 კომლისგან შედგება, საკმაოდ რელიეფური დახრილობისაა და საკმაოდ ეროზიული (მცოცავი) ტიპის მიწებია, რის გამოც შიდა გზები ხშირად ზიანდება. ამ სოფლის მოსახლეობისთვის ერთ-ერთი მეტად მტკივნეული და მოუგვარებელი საკითხი აღმოჩნდა სასაფლაოს მიმდებარე გზის კეთილმოწყობისა და სასაფლაოს შემოღობვის საკითხი. ამ მიზნით სო-

At the community meeting population has unanimously decided to build up the TV transmitter. (It has to be mentioned, that the electric power-station Bjujhesi is situated near Gomi and village has permanent supply of electricity). The whole village got involved in project implementation and it was successfully completed. At present every family can watch TV.

Inspired with this success villagers have decided to handle other problems as well. There was half-destroyed church in the village. Community raised the money with active participation of village committee and at present the restoration works are going on. Besides, committee, with the assistance of the whole village managed to repair bus-station. On the initiative of the committee and with the financial support of Sakrebulo village House of Culture has been roofed.

PROJECT:

GOGORETI-2003

VILLAGE GOGORETI, OZURGETI REGION

Committee members:

Kakhaber Gogatadze,
Mzia Glonti,
Enver Margalitadze,
Akaki Ruseishvili.

Description: About 150 families inhabit village Gogoreti. The place is very mountainous. Due to the soil erosion the local roads are easily damaged and internal road system of the village was in a very bad condition. Especially this referred to the road leading to the village cemetery.

Sometimes because of the bad weather it was impossible to reach the cemetery and the funerals were can-



ფულმა გადაწყვიტა პროექტი შეემუშავებინა და მის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობაც მიიღო.

პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის დამთავრების შემდეგ დაუხარჯავი დარჩა 480 ლარი, რისი საშუალებითაც მოსახლეობამ სოფელში არსებული მინი სპორტული მოედნის აღდგენის სურვილი გამოთქვა. თავად სოფელი მზად იყო ამ სამუშაოების შესასრულებლად საჭირო ძირითადი თანხა თავად გაეღო. მომზადდა პროექტი სახელწოდებით „სპორტი და სიხარული“, სადაც საგრანტო თანხა მთელი ბიუჯეტის მხოლოდ 38%-ს შეადგენდა. აღნიშნული სპორტული მოედნის შეკეთების სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში დასრულდება.

პროექტი:

სოფლის იმედი

ლაგოდეხის რაიონი, სოფელი მსხალგორი

კომიტეტის წევრები:

ზურა მუმლაძე, ჯემალ სამხარაძე, ილია მუხითიძე, გია გელაშვილი

სოფელ ქვემო მსხალგორის სახნავ-სათესი ფართობების მორწყვა გართულებული იყო, რადგან გვალვის პერიოდში ნაწილი მოსახლეობა შეთანხმებისამებრ მორიგეობით რწყავდა ფართობებს, ზოლო განაპირა ფართობები კი ძალიან ცუდად ირწყვებოდა. ამ პრობლემის გამო მოსავლიანობა ძალიან დაბალი იყო. შეწყუბულმა მოსახლეობამ სწორედ ამ საკითხის მოგვარება გადაწყვიტა სოფლის კრებაზე. აღსანიშნავია, რომ შემუშავებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებით არა მარტო სამიზნე სოფლის - ქვემო მსხალგორის 80%-ს უგვარდებოდა პრობლემა, არამედ მეზობელი სოფლის - ზემო მსხალგორის

ცელ. That's why villagers selected renovating the cemetery road and fencing in the cemetery as the most urgent problem.

After completion of the project there were still left 480 GEL. Villagers decided to restore little village stadium with this money and to contribute the lacking sum. The project "Sport and fun" has been designed - the requested grant constituted 38% of the total budget. At present the restoration works are going on.

PROJECT:

HOPE OF THE VILLAGE

VILLAGE QVEMO MSKHALGORI,
LAGODEKHI REGION

Committee members:

Zurab Mumladze,
Jemal Samkharadze,
Iliia Shubitidze,
George Gelashvili.

Description: Irrigation of the agricultural lands of village Qvemo Mskhality (lower Mskhality) was problematic. During the droughts villagers were irrigating the fields by turns, but outermost fields stayed almost without irrigation. Due to this problem the harvest was damaged. As the greater part of the village population depends on the agricultural goods, the community gave priority to the solution of the above mentioned problem. It is noteworthy, that the designed micro-project solved the problem of irrigation not only to Qvemo Mskhality, but also to 30% of population of the neighboring village Zemo Mskhality (upper Mskhality). That's why res-



მაცხოვრებელთა 30%-საც. ამის გამო გადაწყდა პროექტის განხორციელებაში დამატებითი წვლილი შეეტანათ მეზობელი სოფლის დაინტერესებულ მოსახლეებსაც. პროექტი დასრულდა, თუმცა გარკვეული დაგვიანებით.

პროექტი:

სოფლის განახლება

ლაგოდეხის რაიონი, სოფელი რაჭისუბანი

კომიტეტის წევრები:

შოთა ლობჯანიძე, ვარდენ ბერიშვილი,
ტარიელ ლობჯანიძე, ნათელა
ნაცვლიშვილი, ნონა ლობჯანიძე,
ნუნუ ლობჯანიძე

სოფელ რაჭისუბანში მოსახლეობისთვის ძირითადი საკონტაქტო ადგილი სოფლის „ბირჟა“ გახლდათ, სადაც ზამთარში შეუძლებელი იყო გაჩერება, ახალგაზრდებს კი ელემენტარული გართობის ადგილიც არ გააჩნდათ. სოფელში იდგა ძველი ამორტიზირებული „კანტორის“ შენობა, რომლის გვერდით არსებული სპორტული მოედანიც სავალალო მდგომარეობაში იყო. სტადიონს არ გააჩნდა დამცავი ღობე და ტერიტორიას საქონელი აბინძურებდა. პატარა სოფლის შეკრულმა მოსახლეობამ პირველ რიგში თავშეყრის ადგილის მოწყობა და სტადიონის შეკეთება დაისახა მიზნად.

idents of Zemo Mskhalgory also made financial contribution to the project. The project has been completed, though with certain delay.

PROJECT:



VILLAGE RENOVATION

VILLAGE RACHISUBANI, LAGODEKHI REGION

Committee members:

Shota Lobjanidze,
Varden Berishvili,
Tariel Lobjanidze,
Natela Nacvlshvili,
Nona Lobjanidze,
Nunu Lobjanidze.

Description: In village Rachisubani did not exist any place or building where people could meet each other and entertain themselves. Especially this problem bothered elderly people and youth. The village population identified this problem for the solution. There were in the village old empty building (former office of some local authority). Near the building was situated half-destroyed mini-stadium without the fence where cattle were walking. Villagers decided to arrange meeting-place in the building and renovate the stadium thus setting the sports and





გაზარებული და იმედჩასახული მოსახლეობა აქტიურად შეუდგა პროექტის განხორციელებას, ყოველ დღე „გონგის“ შემოკვრისთანავე ერთსულოვნად გამოდიოდა სამუშაოზე. შეხვედრების ოთახის ამუშავებაში სოფლის მოსახლეობამ ნაწილობრივ ძველი შენობის მასალა გამოიყენა. ერთად შეკრულმა სოფელმა ორივე პრობლემა წარმატებით გადაჭრა. სოფლის მოსახლეები ახლა უკვე თავისუფლად იკრიბებიან და უზიარებენ ერთმანეთს საკუთარ გულისტკივილს და საბავენ მომავალ გეგმებს. შეხვედრის ადგილას მოსახლეობამ დადგა პინგ-პონგის მაგიდა და სტადიონიც სათანადოდ გაიმართა და შემოიღობა, ასე რომ ახალგაზრდებს უკვე აქვთ სპორტული ღონისძიებების მოწყობის საშუალება. პროექტის დასრულების შემდგომ კომიტეტმა შეხვედრების ადგილისთვის ლუპეტატობის კანდიდატისაგან გენერატორის მოპოვებაც შესძლო.

პროექტი:

სოფლის ოსწება

ლაგოდეხის რაიონი, სოფელი ვერხვიმინდორი

კომიტეტის წევრები:

ნინო მუმლაძე, ზურაბ ცხოვრებოვი, როსტომ მუმლაძე, დალი მეტრეველი, ვიოლა გაბეევი, ნანა თედეევი

სოფელი ვერხვიმინდორის მოსახლეობას, ისევე როგორც კახეთის რეგიონის მრავალ დასახლებას, სასმელი წყლის პრობლემა აწუხებდა. მოსახლეობა მოიხმარდა წვიმების შედეგად ამღვრულ ჭბის წყალს ან შორი მანძილიდან ეზიდებოდა სასმელ წყალს. სწორედ სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება იქცა მოსახლეობისათვის პრიორიტეტად. პრობლემის მოგვარება სოფელში ახალი

entertainment center in the community. The whole village participated in the project implementation - every morning at the sound of a gong villagers gathered and started to work. The Meeting Centre has been restored. Villagers have installed a table tennis set there. The building was also equipped with a power generator which was donated by local deputy. The mini-stadium was also renovated. The additional money required for the stadium development was contributed by the villagers from their own savings.

PROJECT:

VILLAGE DREAM

VILLAGE VERKHVIMINDORI,
LAGODEKHI REGION

Committee members:

Zurab Cxovrebov,
Rostom Mumladze,
Dali Metreveli,
Viola Gabeev,
Nino Mumladze,
Nana Tadeev.

Description: Village Verkhvimindory like many other villages of the region suffered lack of drinking water. Population had to carry the water from far away or use water from the individual draw-wells which was completely undrinkable after the rains. The community meeting identified this problem as top priority and designed the project, which envisaged making new borehole and connecting it to the existing water-pipes. The project has been successfully completed by joint efforts of the villagers. It was planned to install taps



ჭაბურღილის საშუალებით და მისი უკვე არსებულ მაგისტრალთან მიერთებით გადაწყდა. ერთობლივი ძალისხმევით სოფელმა პროექტი შესანიშნავად დაასრულა. პროექტით გათვალისწინებული იყო ორ ოჯახზე ერთი ონკანის დამონტაჟება. წყლის მარაგის სიჭარბის გამო საშუალება მიეცა ყველა მოსახლეს წყალი საკუთარ ოჯახში შეეყვანა, რისთვისაც დამატებითი თანხებიც გაიღეს.

„ეს ბოროტი რომ ყოფილიყო, თუ ჩემი ჰრობოლომ იყო, ზალონი თვითონ აფიქციოდა ამას, თიბიყიროს ჩაქ შეიქცოლით, შრომობონინ. ყიციფ ბეჭი ჰრობოლომას, ცოცხლად მსჯელობს ზალონი, თუ როგორი უნდა გააფიქროს, ჩაიონის გამგეობას ვუპირიციო რაზმარობას.“

კომიტეტის წევრი

აღსანიშნავია, რომ სოფელს სხვა დიდი ხნის მოუგვარებელი პრობლემებიც აწუხებდა, კერძოდ, ვერხვიმინდორი განლაგებულია მდინარის გასწვრივ და გაზაფხულის წყალდიდობისას მოსახლეებს ეზოები ეტბორებოდათ, რის გამოც აუცილებელი იყო მდინარის კალაპოტის გაღრმავება. ასევე სავალალო მდგომარეობაში იყო სოფლის შიდა გზები. კომიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით გაიწმინდა მდინარის კალაპოტი, ხოლო კალაპოტიდან ამოღებული ხრეშით მოსახლეობამ დაზიანებული გზები შეაკეთა.

for the joint use of every two families. However, on their own initiative people made individual taps. As a result virtually every home has its own water supply.

When this borehole was made villagers were working hard, doing what ever they could. There are still many unsolved problems in the village, we think about them - how to solve them. Gamgeoba also promises to help us

Committee member.

Village suffered from some other unsolved problems as well. Namely: water from the nearby river inundated the yards of village houses during the summer floods. To avoid this it was necessary to deepen the river-bed. The village roads were also in the miserable condition. By united efforts of village committee and local self-government the river-bed has been cleaned and with the crushed stone removed from there population has renovated the village roads.



2004 წელი

YEAR 2004

პროექტი:**მომავლის იმედი**

ოზურგეთის რაიონი, სოფელი ორმეთი

PROJECT:**HOPE FOR FUTURE**

VILLAGE ORMETI, OZURGETI REGION

კომიტეტის წევრები:

გივი მუმლაძე, გოგი გადახაბაძე,
გურამ ბუსხრიკიძე, ოტია ხომერიკი,
ლაზარე გობრონიძე, ომარ სირაძე

მდინარე სუფსასთან მდებარე სოფელი ორმეთი 161 კომლისგან შედგება, მსგავსად სხვა სოფლებისა მრავალი პრობლემის წინაშე დგას, გარდა ამისა სოფელი საკმაოდ მოწყვეტილია რაიონულ ცენტრს და ამის გამო დამატებითი პრობლემებიც ექმნება.

სოფელში არის საშუალო სკოლა, რომელიც სოფლისთვის ერთადერთი აღმზიანობის საშუალებაა. ამ სკოლის ტერაქტულ დღეისათვის 110 მოსწავლე ღებულობს განათლებას. აღსანიშნავია, რომ 7 კმ-ის რადიუსში განათლების სხვა კერა არ არსებობს, ამიტომ აღნიშნული სკოლა ემსახურება არა მარტო ორმეთს, არამედ მეზობელ სოფლებსაც. სკოლის შენობა აშენდა 1966-67 წლებში და ბოლო ათწლეულში შენობას მიმდინარე რემონტი არ ჩატარებია, რის გამოც იგი ძალიან სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველი სართულის იატაკი მთლიანად ავარიულ მდგომარეობაში იყო, ფაქტიურად ხის იატაკი აღარც არსებობდა, რის გამოც დიდი გახლდათ ფიზიკური ტრავმის მიღების რისკ-ფაქტორი როგორც მოსწავლეებში, ასევე პედაგოგებში. თავად ცემენტის იატაკის ზონის გასწვრივ, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, ხშირი იყო ბავშვთა ავადმყოფობა და გაცდენები, რაც სწავლის ხარისხზეც აისახებოდა.

Committee members:

Givi Mumladze,
George Gadakhabadze,
Guram Buskhrikidze,
Otia Khomeriki,
Lazare Gobronidze,
Omar Siradze.

Description: 161 families inhabit village Ormeti, situated near river Supsa. Like many other villages Ormeti is facing lot of urgent problems. The remoteness of village from the region's center creates additional difficulties.

The village school attended by 110 pupils is the only educational institution within a radius of 7 km. Thus all the children from Ormeti and several other neighboring villages receive there a primary education. The school built in 1966-67 has not been restored for the last ten years. The building was in a very poor condition - the wooden floor was severely damaged, which caused serious risk of injuries. Due to the damp and cold children





„იშვარი ცუდი მდგომარეობა იყო სკოლაში, რომ მოქმედებდა გვირგვინი. იატაკი იყო ისეთი ცუდი, რომ მანძილზე სწავლობდნენ მოსწავლეებთან მიწვალს რა მოქმედებდა გვირგვინი. ყველაზე ცუდი მდგომარეობა იყო. ამ სკოლაში ეს ერთადერთი სკოლაა.“

სკოლის მანძილზე.

სოფელმა გადაწყვიტა გაუსაძლის პირობებში მყოფი მომავალი თაობისათვის სკოლა შეერემონტებინა. პროექტის დაფინანსებაში 700 ლარის წვლილი ადგილობრივმა მმართველობამაც გაიღო. მოსახლეობამ შესანიშნავად გაართვა თავი აღნიშნულ საქმიანობას, მთელი სოფელი აქტიურად ჩაერთო სამუშაო პროცესში. გარემონტებული სკოლა ახლა ბავშვებსა და მშობლებსაც სიამოვნებას ანიჭებს, ხოლო სასწავლო პროცესი დაუბრკოლებლად მიმდინარეობს.

პროექტი:

იხედის სახლი

ოზურგეთის რაიონი, სოფელი გაღმა დვაბზუ

კომიტეტის წევრები:

თამაზ გობრონიძე, ნათია სალუქვაძე,
გიზო გობრონიძე, თინათინ ღლონტი,
ხათუნა რუსიეიშვილი

სოფელი გაღმა დვაბზუ 322 კომლისგან შედგება. სოფელში განთავსებულია ადმინისტრაციული შენობა, რომელშიც ფუნქციონირებს კლუბი, ბიბლიოთეკა და სამუსიკო სტუდია. შენობის ავარიული მდგომარეობის გამო მათი ნორმალური ფუნქციონირება ვერ ხერხდებოდა. შენობა ფართით საკმაოდ დიდია და მისი შერემონტების შემთხვევაში სოფელში არსებული ავარიული სკოლისთვის, ამბულატორიისთვის და კინოდარბაზისთვის ფართის გამოყოფის საშუალებაც

often got ill, especially in winter time and missed the classes.

The school was in such a bad condition that it was difficult to work there. The floor was damaged, the walls also needed restoration. This is the only school in the village

School teacher.

At the community meeting villagers have decided to deal with the problem and renovate the school building. Local government contributed 700 GEL to the project. Whole village participated in the restoration work and it was successfully brought to the end. Now children attend the classes in the clean and safe school building restored by their parents.

PROJECT:

THE HOUSE OF HOPE

VILLAGE GAGMA DVABZU,
OZURGETI REGION

Committee members:

Tamaz Gobronidze,
Natia Saluqvadze,
Gizo Gobronidze,
Tinatin Glonti,
Khatuna Ruseishvili.

Description: About 322 families reside in the village Gagma Dvabzu. Old building sheltering library and musical classes also serves as villagers' meeting place. The building was in a very bad condition and community considered its restoration the top priority. Local government also actively participated in the implementation of a project and made financial contribution of 500 GEL. The building has been restored. At present it is a favorite meeting place of the villagers. Where they have a pos-



იმუშებოდა. მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფლისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კულტურისა და განათლების სახლის აღდგენა გახლდათ.

„ეს არის სოფლის ერთადერთი შეკრებილობის ადგილი. სკოლის წამოღობა, თუ სოფელი ირრრრრ. აქ წყობა ყველაფერი. სოფლის წყობა წყობა. გამოცდებოდა სოფელი. ზაფხულის ზაფხულში თიღობის სერრრრ შიღობა. აგრრრ სოფელი მოღობა. ყველაფერი წყობა წყობა ადგილი.“
საფრრრრრრრრრ

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის განხორციელებაში მოსახლეობასთან აქტიურად თანამშრომლობდა ადგილობრივი ხელისუფლება, რომელმაც საკუთარი წვლილი შეიტანა 500 ლარის ოდენობით. ამჯერად, აღნიშნულ შენობაში, ვარდა ადრე არსებული დატვირთვისა, ტარდება კონცერტები, დაარსდა ბიბლიოთეკა და სამუსიკო სტუდია.

პროექტი:

მედი სკოლა

ლაგოდეხის რაიონი, სოფალი აფენი

კომიტეტის წევრები:

დავით მახათაძე,
გიორგი ლულუნიშვილი,
დარეჯან შველიძე, აზა კაპანაძე,
თამილა გოგოლაძე, ნუნუ სამხარაძე,
მალხაზ შველიძე, ვაჟა ბიბილაშვილი,
იზა სისვაძე

სოფელი აფენი თბილისი-ლაგოდეხის ავტომაგისტრალზე მდებარეობს და აქ 728 კომლი სახლობს. სოფელში არსებული ცხრაწლიანი სკოლა, სადაც 200 მოსწავლე სწავლობს, სავალალო მდგომარეობაში იმყოფებოდა. წვიმის დროს წყალი თითქმის ყველა საკლასო



sibility to use the village library, attend musical classes and concerts and simply amuse themselves with conversation.

This is the only place in the village where we can gather, receive the guest of the village. Whole village comes here; here we made decisions about our problems. In summer it is also possible to show a film here. Nearby is the sports stadium. We like this place.

Sakrebulo member.

PROJECT:

MY SCHOOL

VILLAGE APENI, LAGODEKHI REGION

Committee members:

David Makhatadze,
Giorgi Gugunashvili,
Darejan Shvelidze,
Aza Kapanadze,
Tamila Gogoladze,
Nunu Samkharadze,
Malkhaz Shvelidze,
Vaja Bibilashvili,
Iza Sisvadze.

Description: Village Apeni, situated near the highway connecting Tbilisi and Lagodekhi consists of 728 families. Building of the secondary school attended by 200 pupils has not undergone any



ოთახში ჩამოდიოდა და, შესაბამისად, სასწავლო პროცესიც ფერხდებოდა. ამის გამო ამ სოფლის ბავშვებს სხვა სკოლაში ფეხით უწევდათ სიარული და ცენტრალური ტრასის გადაჭრაც უხდებოდათ, რაც მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიდა.

სოფლის კრებაზე უპირატესობა, სწორედ სკოლის გარემონტებას მიენიჭა. კომიტეტის აქტიურობით პროექტში წვლილით ადგილობრივი მმართველობაც შემოვიდა. ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ძალისხმევით და თანხობრივი შენატანებით ეს პრობლემა მოგვარდა, სკოლა გადაიხურა და კოსმეტიკური რემონტიც გაუკეთდა.

პროექტი:

ჩემი სოფელი

ლაგოდეხის რაიონი, სოფელი საქობო

კომიტეტის წევრები:

თამარიკო ნარინდოშვილი, ირმა
კურტანიძე, ლეილა ნიკუაშვილი,
ალიკა ბოლღაშვილი, ავთო კაკაშვილი,
ნოდარ ბებრიშვილი,
გურამ ტურაშვილი

ლაგოდეხის რაიონის სოფელი საქობო, სადაც 229 კომლი სახლობს, საკმაოდ მოშორებულია რაიონულ ცენტრს, რის გამოც სოფელთან ხშირი მიმოსვლა გართულებულია.

სოფლის მოსახლეობას თავშეყრის, ერთმანეთისათვის ინფორმაციის გაზიარებისა და კულტურული ღონისძიებების ჩატარების არავითარი საშუალება არ გააჩნდა. სოფელში არსებული 1954 წელს აშენებული კლუბის შენობა დროთა განმავლობაში მოიშალა და განადგურდა, რის გამოც უფუნქციო გახდა. აქ ადრე არსებული ბიბლიოთეკის წიგნთა ფონდი განადგურების პირას იყო მისული. კლუ-

restoration since 1961, when the school has been built. The roof of the building was very damaged and leaked, so it was impossible to carry the classes in the rainy days and population had to send their children to the neighboring village school. Quite far away from Apeni. To get there children also had to cross the highway, which was very dangerous. So, at the community meeting village population defined restoration of the school as a top priority. On the initiative of the village committee local government was also involved in the project implementation and made financial contribution. The school building has been roofed and slightly restored.

PROJECT:

MY VILLAGE

VILLAGE SAKOBO, LAGODEKHI REGION.

